სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 29 ივლისი 2008 №173 (3397) ფასი 50 თეთრი



აგვისწინიან, რატომ მაინცდამაინც კუპერი?

ლევან კობიაშვილი ფოლკერ ფინკეს ემხრობა 9

ელიტისკენ გზა ფინეთზე გადის

კადეტმა კალათბურთელებმა მეორე მატჩი მოიგეს 10



ქართველები კუბერტენის წინააღმდეგ

ინტერვიუ ემზარ ზენაიშვილთან 12 13



თამაშები კუპერის გრაფიკში, რომლებიც ჩვენთვის სისხლი და ცრცია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და არგენტინელ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერის კონტრაქტი უკვე მზად არის და მასზე მხოლოდ ორივე მხარის ხელმოწერა დარჩა...

კუპერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად პარასკევს უნდა დაინიშნოს, რადგანაც სწორედ ამ დღეს შედგება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, საგანგებო სხდომა.

ფედერაცია-კუპერის გამზადებული კონტრაქტის მოქმედების ვადა 2009 წლის ნოემბრამდე ანუ მომავალი შესარჩევი ციკლის ბოლომდე იქნება და თუ საქართველოს ნაკრები, ემანდ, სამხრეთ აფრიკის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდა, კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება. ჯერ კიდევ ხელმოწერელ კონტრაქტში ასევე გათვალისწინებულია ბონუსები დაგროვილი ქულების მიხედვით და შესაძლოა, მომავალ მწვრთნელთან კონტრაქტის გაგრძელებაც ამან განაპირობოს.

გუშინდელი მთავარი ამბავი კი ისაა, რომ ექტორ რაულ კუპერი, რომელიც, წინასწარი შეთანხმებით, თბილისში ორშაბათს უნდა ჩამოსულიყო, ჯერ კიდევ მადრიდშია. ორშაბათის შემდეგ არგენტინელ მწვრთნელს დღეს ველოდით, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო კუპერი და მისი აგენტი ისევ შეყოვნდნენ. ბოლო ინფორმაციით, კუპერი ოთხშაბათს გამთენიისას ჩამოვა.

კოტა ინასარიძე

ეს კვირა ფეხბურთისაა. ხვალ საქართველოს ჩემპიონი „დინამო“, რომელიც გუშინ გაემგზავრა საბერძნეთში, ათენის „პანათინაიკოსს“ შეხვდება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში. ზეგ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებში „ვიტ ჯორჯია“ და „ზესტაფონი“ დაუხვდებიან სლოვაკურ „სპარტაკს“ და უნგრულ „დიორს“. ვიტელებსაც და ზესტაფონელებსაც რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი აქვთ, შეხსენება რად უნდა.

პარასკევს კი შიდა ქართული სეზონიც გაიხსნება დავით ყიფიანის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალით.

ყველაფერ ამას საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვინაობის საბოლოოდ გარკვევაც დავამატოთ და...

ვინ ჩაიყვანა დინამო ათენში და რას ჩამოიტანს იქიდან?

მერებაშვილი და აკირემი საბოლოოდ გამოირიცხა

გაფრი კვირელაძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ გუშინ ათენს გაემგზავრა იქაურ „პანათინაიკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის ჩასატარებლად.

მწვრთნელმა რაინერ ცობელმა, რომელმაც ფარერულ „რუნავიკთან“ მატჩის შემდეგ გუნდი საგანგებო რეჟიმზე გადაიყვანა, ათენში 18 ფეხბურთელი წაიყვანა და მათ შორის არ არიან გიორგი მერებაშვილი და გაბონელი ფორვარდი ჟორჟ აკირემი. მერებაშვილს მუხლის ტრავმა აწუხებს და საოპერაციოა, ხოლო აკირემი „რუნავიკთან“ მატჩისას დაშავდა და ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდა.

ამათ ნაცვლად ცობელის სიაში არის კამერუნელი რონალდ ჯუსი, რომელიც წინა სეზონში თბილისელებს „ბორჯომში“ ჰყავდათ განათხოვრებული და ჩერნოგორიელი ილია სპასოევიჩი, ვინც თიაქრის ოპერაციის შემდეგ ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას.

„დინამოს“ ათენური სია ასეთია: *დიდიე ოვონო, გიორგი ლორია, შოთა კაშია, გურამ კაშია, მილოშ კრშკო, ალექსანდრე ინწკირველი, გიორგი ნერგაძე, გულვერდ თომაშვილი, ლევან ხმალაძე, დავით დიღმელაშვილი, დავით ოდიკაძე, ოლეგ გველესიანი, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიორგი ჯიშკარიანი, მათე ვაწაძე, ზვიად ქანთარია, დონალდ ჯიუსი, ილია სპასოევიჩი.*

გუნდი ათენის „პრეზიდენტ ოტელში“ დაბინავდა და გუშინვე „სპიროს ლუისის“ სტადიონზე ივარჯიშა. ხვალინდელი მატჩიც სწორედ ამ სტადიონზე გაიმართება და ჩვენი დროით, 23.45 საათზე დაიწყება.

ვნახოთ, რას ჩამოიტანს ფარერებზე წაგებული „დინამო“ ამჯერად ათენიდან...

კობა ინასარიძე

საქართველომ პირველი ჩააბარა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პირველ ამხანაგურ მატჩში 3:1 დაამარცხა აზერბაიჯანელი თანატოლები.

შეხვედრა ქალაქ სუმგაითში ჩატარდა და ქართველთა უპირატესობით წარიმართა.

გელა შეყილაძის გუნდი მე-10 წუთზე გაშვებული გოლით აგებდა, თუმცა მალევე შეძლო ვითარების გამოსწორება. 35-ე წუთზე გიორგი კუხიანიძემ გაათანაბრა ანგარიში, 66-ე წუთზე ლაშა ჩაფიძემ დააწინაურა თავისიანები, 75-ე წუთზე კი ნოშრევან ჯიშკარიანმა შორეული დარტყმით 3:1 გახადა ანგარიში.

ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ნადირაძე, ამაშუკელი, ჩელებაძე (მ. კობახიძე 60), ელიზბარაშვილი, ნ. ჯიშკარიანი (თ. სანიკიძე 78), ჩაფიძე (გ. ილურიძე 78), კვეკვესკირი, ფუტკარაძე, ჯიმშელეიშვილი (ჭედია 67), კუხიანიძე (ბუზალაძე 67), გაბაშვილი (აფაქიძე 78).*

მეორე მატჩი ხვალ გაიმართება.

ძახა შალამბერიძე

მესხეთს უზბეკეთიდან გოჩაშვილი ჩამოუვიდა

ახალციხის „მესხეთმა“ სამ დღეში ორი ტესტმატჩის გამართვა მოასწრო. ჯერ მცხეთაში „ვიტ ჯორჯია 2“-ს ჟღენტის და სუდაძის გოლებით 2:1 მოუგო, გუშინ კი მუხრანში „გაგრას“ დაუპირისპირდა და ამ მატჩშიც გამარჯვებული დარჩა — 3:1.

ახალციხელები გუნდის თავკაც კობა თედიაშვილის შვილის, ლევანის გოლით დაწინაურდნენ მე-19 წუთზე. ათ წუთში ზორის გონჩაროვმა გაზარდა სხვაობა, ტაიმის მიწურულს კი ლევან მერებაშვილმაც გაიტანა.

გაგრელებმა მეორე ტაიმში რაც მოახერხეს, ის იყო, რომ გიორგი კორიფაძემ ერთი ბურთი გაქვითა.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

გაგრა: თევდორაძე, მგელაძე, გ. კვანტალიანი, ჩიხრაძე, გაბუნია, გაბედავა, შარიქაძე, ლალიანი, ლ. სეთურიძე, ფილია, ზ. მეტრეველი.

შეცვლაზე შევიდნენ: კოტრიკაძე, ქაჯაია, ყიფიანი, ა. ტეტუნაშვილი, გ. კორიფაძე, აბაშიძე, ჩხაიძე.

მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი, მ. თაყაძე, მემარნიშვილი, ლ. თედიაშვილი, ვ. გოჩაშვილი, კ. ხანიშვილი, გონჩაროვი.

შეცვლაზე შევიდნენ: ძამუნაშვილი, ქოჩორაშვილი, ლ. ვაშაკიძე, სამადაშვილი, ინასარიძე, ბეჟანიძე, სუდაძე.

„მესხეთში“ ერთი ახალწვეულია — ვლადიმერ გოჩაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინ უზბეკეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას და, როგორც ჩანს, იქ დარჩენას საქართველოში დაბრუნება ამჯობინა. ახალციხელთა თავკაცის თქმით, სავარაუდოდ, გოჩაშვილი „მესხეთში“ ითამაშებს.

ნუკრი ლოლაძე

ამხანაგური მატჩები

კოტბუსი 4:1 ანკარაგიუჯიუ
ბენფიკა 0:2 სპორტინგი
ლოკომოტივი (ს) 10 მ. ფეთაჯ თიკვა
სენტ გალენი 0:4 ვერდერი
კოგი 0:4 სანდერლენდი
გლენტორანი 0:5 ბარნლი
ნორვიჩი 1:5 ტოტენჰემი
სინგაპური 0:3 ბრაზილია (U-23)

შვედეთი

ალსვენსკა. XVI ტური
აიკ 1:0 ლიუნგსკილე
გაისი 0:2 სუნდსვალი
იორეგრო 1:1 ჰამარბი

სუპერეტა. XVI ტური
ატვიდაბერგი 2:1 სირიუსი
ლანდსკრონა 1:2 ძვიდინგი
ასირისკა 2:1 ჰეკენი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIV ტური
ლაჰტი 1:0 კტპ

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. I ტური
თუნი 2:1 ვილი

ისლანდია

I დივიზიონი. XIII ტური
ფილკირი 3:3 კეფლავიკი
კოპავოგური 0:2 ფრამი
თროტური 2:2 ბრეიდაბლიკი

ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური
ვოლერენგა 0:0 ტრომსიო

დანია

სუპერლიგა. II ტური
ორჰუსი 3:1 ჰორსენსი

აშშ

მეიჯორ ლიგა. XVIII ტური
დალასი 4:0 ლოს ანჯელესი
კანზასი 0:0 ჩიკაგო
კოლორადო 0:2 კოლუმბუსი

მექსიკა

აპერტურა. I ტური
ამერიკა 3:2 სანტოსი

ჩილე

კლაუსურა. VI ტური
რეინჯერსი 1:1 პალესტინო
კობრელოა 1:2 ანტოფაგასტა
ა. იტალიანო 0:3 უაჩიპატო

ბრაზილია

სერია A. XV ტური
ატლ. მინეირო 2:1 ვიტორია
ფლამენგო 0:0 ბოტაფოგო
სან პაულუ 3:1 პორტუგეზა

გაფრი კვირელაძის ფოტო

აღმასკომმა მთავარი საკითხი გადადო

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა.

დღის წესრიგში გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები:

1. სფფ-ის მორიგი XV ყრილობის ჩატარების შესახებ;
2. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელების დამტკიცების შესახებ;.
3. საკლუბო ლიცენზირების 2008-09 სალიცენზიო სეზონის შედეგების შესახებ;
4. საკლუბო ლიცენზირების ახალი სტრუქტურის და ლიცენზირების სახელმძღვანელოს შესწორებული ვერსიის (2.2) დამტკიცების შესახებ;
5. სტადიონების დებულების დამტკიცების შესახებ;
6. სხვადასხვა.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, აღმასკომმა დაადგინა:

1. დამტკიცდა სფფ-ის მორიგი XV ყრილობის ჩატარების შესახებ დადგენილების პროექტი. სფფ-ის მორიგი, XV ყრილობა გაიმართება 2008 წლის 16 აგვისტოს.
2. აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო სფფ-ის აღმასკომის მომავალ სხდომამდე, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.
3. ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია საკლუბო ლიცენზირების 2008-09 სალიცენზიო სეზონის შედეგების შესახებ.
4. დამტკიცდა საკლუბო ლიცენზირების ახალი სტრუქტურა და ლიცენზირების სახელმძღვანელოს შესწორებული ვერსია (2.2).
5. დამტკიცდა სტადიონების დებულება.
6. დამტკიცდა საფეხბურთო კლუბების სპორტული პერსონალის რეგისტრაციის პროცედურა.
7. დამტკიცდა ჭაბუკთა ლიგის ასაკობრივი კატეგორიები.

როგორც მიხვდით, ექტორ რაულ კუპერის ვიზიტის დაგვიანების გამო აღმასკომმა ვერ მოასწრო ნაკრების მწვრთნელის საკითხის განხილვა, თუმცა ამას უახლოეს დღეებში გაკეთებს. მას შემდეგ, რაც არგენტინელი მწვრთნელი თბილისში ჩამოვა და დასკვნით მოლაპარაკებებს გამართავს ფედერაციის ხელმძღვანელებთან...

ძახა შალამბერიძე

გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი) დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფები, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად, შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას
უცხადებს იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტ ვალერი მანაგაძეს
მამის
გარდაცვალების გამო

ლევან კობიაშვილი: აგვიხსნიან, რატომ მაინცდამაინც კუპერი?

საქართველოს ნაკრებს ჩიხიდან შარტო სახელი ვერ გამოიყვანს

დღე-დღეზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი დასახელდება და, სავარაუდოდ, ეს არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი იქნება. ცხადია, ყველა ფეხბურთელს აქვს თავისი მოსაზრება მწვრთნელთან დაკავშირებით — ზოგს მკვეთრიც კი. ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი კუპერის კანდიდატურას არ აღუფრთოვანებია, ის თავის ყოფილ დამრიგებელ ფოლკერ ფინკეს უფრო უპრიან ვარიანტად მიიჩნევს და ასაბუთებს, რატომაც... თუმც ეს საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია. ნებისმიერ ფეხბურთელს თუ სპეციალისტს შეუძლია ამა თუ იმ მწვრთნელის პლუს-მინუსებზე საუბარი: რატომ ფინკე? დაგისაბუთებს. რატომ კუპერი? დაგისაბუთებს. რატომ სეგრტი? დაგისაბუთებს. კობიაშვილთან მარტო ნაკრების თავკაცზე არ ვილაპარაკია. ჯერ „შალკეს" ამბებით დავიწყეთ: „ხუმარებს" სეზონისწინა მზადება აქვთ და ლევანიც ყველა ტესტ-მატჩს თამაშობს...

— როგორ მიმდინარეობს შენთვის და მთლიანად „შალკესთვის" მოსამზადებელი პერიოდი?

— სამი-ოთხი ფეხბურთელის ტრავმას თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი ნორმალურადაა. ახალი მწვრთნელი მოვიდა, ტაქტიკური სიახლეები მოიტანა. ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ფრედ რუტენი კარგი სპეციალისტია. მას ხომ „ტვენტეში" ძალიან კარგი შედეგები ჰქონდა.

— „შალკეში" ჰოლანდიელი ორლანდო ენგელაარი მოვიდა, რომელიც დაახლოებით შენს პოზიციაზე თამაშობს...

— კარიერის განმავლობაში იმდენ ადგილზე მითამაშია, უკვე მერევა, ჩემი პოზიცია რომელია. ეს ნახევრად ხუმრობით, ისე კი, როგორც ყველა ძლიერ გუნდში, „შალკეშიც" კონკურენციაა და ეს სასიამოვნოა. კარგია, რომ მაღალი დონის ფეხბურთელი შეგვემატა, ენგელაარმა მშვენივრად ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე. მივეჩვიე კონკურენციის დაძლევას, ადრეც ყოფილა, ჩემს პოზიციაზე მოუყვანიათ კარგი ფეხბურთელი, მაგრამ თამაშს ვახერხებდი. ყოველ შემთხვევაში, ღრმა სათადარიგო არასოდეს ვყოფილვარ და ამას ვერც შეეგუებოდი.

— ბოლო მატჩში „ბეშიქთაშთან" მარცხენა მცველი იყავი. ვიცით, ეს პოზიცია მაინცდამაინც არ გიყვარს...

— ასარჩევად რომ მქონდეს საქმე, ნახევარდაცვაში მირჩევნია, მაგრამ ვერ ვიტყვი, თითქოს მარცხენა მცველობა დისკომფორტს მიქმნიდეს. როგორც მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ, ისე მოვიქცევი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარცხენა მცველი „შალკეში" არ გვყავს. კრისტიან პანდერი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ეგაა, ხშირად ტრავმიანობს.

— დაახლოებით თვენახევრის წინ „ბეშიქთაში" გიწვევდა. არ გიფიქრია იქ გადასვლაზე?

— არა. „ბეშიქთაშისგან" ინტერესი იყო, მაგრამ მე მათ თავიდანვე უარი ვუთხარი.

— ლევან ყენიას სიცხე ჰქონდა და ბოლოს თქვენთან ვერ ვარჯიშობდა. ახლა როგორაა?

— ექვსდღიან შეკრებაზე ვიყავით და ლევანი ავადმყოფობის გამო ვერ წამოგვყვა. ახლა ორი დღე დასვენება გვაქვს და როგორც კი ვარჯიშს დავიწყებთ, შემოგვიერთდება.

— როგორ გამოიყურებოდა ყენია ვარჯიშებზე და ტესტ-მატჩებში?

— ყველა კმაყოფილია მისით. ჯერჯერობით, ყველაფერი ნორმალურად მიდის. ყენია „შალკეს" სრულუფლებიანი წევრია და 17 წლის ბიჭისთვის ეს პატარა ამბავი არაა. გუნდში იმედი აქვთ, რომ უახლოეს სეზონშივე ლევანი თავის წვლილს შეიტანს „შალკეს" წარმატებაში.

— ბუნდესლიგაში „შალკეს" მიზანი ისევ სამეულში მოხვედრაა?

— მთავარი მიზანი ესაა, მაგრამ „შალკეში" ერთ ფეხბურთელსაც ვერ ნახავთ, გერმანიის ჩემპიონობის ამბიცია რომ არ ჰქონდეს. ჩემპიონობის დაგეგმვა იქ, სადაც „ბაიერნია", ცოტა უხერხულია, მაგრამ რა საჭიროა დაგეგმვა — ყველა მატჩში მოსაგებად ვიბრძოლებთ და ეგებ, პირველი ადგილიც ავიღოთ.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ: გეცოდინება, ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე სავარაუდო კანდიდატი კუპერია. რას იტყვი მასზე?

— კუპერს არ ვიცნობ და მისი გუნდის წინააღმდეგაც არასოდეს მითამაშია. მასზე ჩემი შეხედულება მაქვს და ვიტყვი: ვერ ვხედავ აუცილებლობას, რატომ უნდა დაინიშნოს კუპერი საქართველოს ნაკრებში. რას უნდა მიაღწიოს? მგონი, ფედერაცია კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ ამ ნაბიჯს გადადგამს. ძალიან ცუდი იქნება, თუ კლაუს ტოპმიოლერისა არ იყოს, აქცენტი მაინცდამაინც სახელიან მწვრთნელებზე გაკეთდება. დღეს საქართველოს ნაკრებში ისეთი მდგომარეობაა, სახელი ვერ გამოიყვანს გასაჭირიდან გუნდს. ისეთი მწვრთნელი უნდა დაინიშნოს, რომელიც მალე აუღებს ალღოს ნაკრებს.

— ფოლკერ ფინკე შეძლებს ამას?

— ფინკესთან საკმაო ხანს ვმუშაობდი და ხუთიანზე ვიცი, როგორ უდგებოდა საქმეს. საქართველოს ნაკრები ძალიან ჰგავს „ფრაიბურგს" იმ მხრივ, რომ პატარა გუნდია. არ გვინდა ტრაბახი, ყველამ კარგად ვიცით, რომ იტალია და ესპანეთი არ ვართ. აი, სწორედ ეგაა: ფინკემ იცის პატარა გუნდთან, ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა, იცის ქართული მენტალიტეტის შესახებ. იმიტომ კი არ ვემხრობი ფინკეს, რომ მას ვიცნობ — არა, მე ძალიან ბევრი წლები არ დამრჩენია ნაკრებში და ახალგაზრდა თაობა მოდის. ახალგაზრდებთან მიდგომაში კი ფინკე ძლიერია.

— გასაგებია შენი აზრი...

— არ მინდა, რადიკალური ვიყო და ისე გამომივიდეს, თითქოს კუპერს მწვრთნელად არ ვთვლიდე. უბრალოდ, იცის კი კუპერმა ქართული ფეხბურთის თავისებურებები? რომელიმე ქართველ ფეხბურთელს იცნობდა? მხოლოდ იმიტომ დავნიშნოთ კუპერი, რომ ის კუპერია, არ იქნება სწორი. შეუძლია ვინმემ თქვას, რატომ კუპერი და არა სხვა?!

— რატომ? მთავარი არგუმენტი კუპერის კვალიფიკაციაა...

— ეგეც ძალიან სადავო საკითხია. მწვრთნელი, რომელიც „ვალენსიასა" და „ინტერში" ყოფილა, უმუშევარი რატომ უნდა იყოს?! არ მინდა, აქცენტი მაინცდამაინც სახელზე გაკეთდეს და სხვაზე არაფერზე...

ილია ნანოგაშვილი

ლოკომოტივისთვის ტესტები დასრულდა

მოგეხსენებათ, 1 აგვისტოს ქართული საფეხბურთო სეზონი თასის მატჩებით გაიხსნება და იქამდე ბოლო ტესტ-მატჩი გამართა თბილისის „ლოკომოტივმა".

გიორგი კიკნაძემ შეგირდები თბილისის „დინამო 2"-ს გაავიბრა და უმაღლესლიგელებმა 2:1 მოიგეს.

„ლოკომოტივმა" რატი ალექსიძის წყვილი გოლებით იმარჯვა. რატომ ჯერ პირველი ტაიმის მიწურულს იხეირა, მეორედ კი 75-ე წუთზე გამოირჩა.

„ლოკომოტივის" შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

ბოჭორიშვილი, ქურდაძე, მიქაძე, შალიკაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ბუდალაშვილი (დიაკვნიშვილი 46), კაჭახიძე (ჩირიკაშვილი 46), ა. კობიაშვილი (ბარბაქაძე 46), ბ. აფხაზავა (ზერეკიძე 46), ალექსიძე, დ. ჩაგელიშვილი (ბახტაძე 46).

ნუგრი ლოლაძე

სპარტაკის ზღვა: ჯერ ფოთი, მერე კი ბათუმი

„სპარტაკის" თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი

ბ ეობა ფოლადაშვილის ფოტო

რამდენიმე დღეა, „სპარტაკი" გონიოშია შეკრებაზე და ტესტ-მატჩიც გამართა ფოთის კოლხეთთან". შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა და 2:2 დასრულდა.

მე-15 წუთზე ლადო დათუნაშვილმა დააწინაურა „სპარტაკი", თუმცა მანუჩარ წიქარიშვილმა პირველ ნახევარშივე შეძლო გათანაბრება.

54-ე წუთზე დავით ბახტურიძემ კვლავ დააწინაურა ცხინვალელები და მარცხისგან „კოლხეთი" გიორგი ქანდავაძის გოლმა იხსნა.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

სპარტაკი: გ. იაშვილი, გ. ნადირაშვილი, კუპრეიშვილი, დარბაიძე, ზამთარაძე, ხიდაშელი, ტყეშელაშვილი, ხიზანიშვილი, ლ. დათუნაშვილი, ბაგაშვილი, ქავთარაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: დ. ბახტურიძე, გოგოხია, კ. შალამბერიძე, ოსეფაშვილი, მამუკაშვილი, მებალიშვილი.

კოლხეთი: გ. შენგელია, გეგელია, სიჭინავა, ცხვიტარია, გოგანძე, ო. შენგელია, ქანდავაძე, წიქარიშვილი, ლუსტა, გოგონია, ლემონჯავა.

შეცვლაზე შევიდნენ: ჩემია, გელაჭეიშვილი, მოისწრაფიშვილი, გვალია.

„სპარტაკი" მორიგ ტესტ-მატჩს დღეს გამართავს „ბათუმთან".

ნუგრი ლოლაძე

ოლიმპი სახლში ერთი დღით დაიგვიანებს

გუშინ ურეკულ შეკრებაზე მყოფი რუსთავის „ოლიმპი" ფოთში ჩავიდა და ადგილობრივ „კოლხეთს" გაეჯიბრა ამხანაგურად.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, რუსთაველებს ფოთელთა ძლევა გაუჭირდათ, შეხვედრის ერთადერთი გოლი 64-ე წუთზე გიორგი მეგრელაძემ შეაგდო.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

კოლხეთი: გ. შენგელია, ლუსტა, ცხვიტარია, თურქია, გელაჭეიშვილი, ქომეთიანი, ჩხარტიშვილი, ო. შენგელია, გოგანძე, ბაკარანძე, წიქარიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ქანდავაძე, გვალია, გვიჩია, სიჭინავა, დ. ნარსია.

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, გ. სეთურიძე, რეხვიაშვილი, გ. ჩხეტიანი, გეწაძე (გულიაშვილი), გაბიდაური, დობროვოლსკი, მიკუჩაძე, მეგრელაძე (მუნდუნგა).

შოთა ბაბუნაშვილს და გიორგი ფეიქრიშვილს ტრავმების გამო არ უთამაშიათ.

რუსთაველებს ურეკული შეკრება დღეს უნდა დაესრულებინათ, მაგრამ გეგმები შეცვალეს და ზღვისპირეთს ხვალ დატოვებენ.

ნუგრი ლოლაძე

ფეხბურთი

თბილისი. მიხეილ მესხი

უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩი

31 ივლისი

ვიტ ჯორჯია — სპარტაკი

საქართველო სლოვაკეთი

დასაწყისი 17.30 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარი

ალექსანდრე ამისულაშვილი და მიოდრაგ ჯუდოვიჩი

ამისულაშვილს ასეთი არაფერი უნახავს

რუსულ პრემიერლიგაში „ხიმკი“ — „ნალჩიკის“ (2:0) მატჩმა რუსულ პრესაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ყაბარდოელებმა უკვე შეიტანეს საჩივარი და საექსპერტო კომისიას თხოვენ, ყურადღება ხუთ ეპიზოდზე გაამახვილონ.

თავიანთი აზრი ამ მატჩზე ფეხბურთელებმაც გამოთქვეს...

„ეს იყო ჩვენი გუნდის დაცინვა — განაცხადა ალექსანდრე ამისულაშვილმა, რომელმაც მიოდრაგ ჯუდოვიჩის გაძევების შემდეგ კაპიტნის სამკლავურით ითამაშა — ჯუდოვიჩს წესები საერთოდ არ დაურღვევია, მსაჯმა კი პენალტიც დანიშნა და მიოდრაგიც გააძევა. ბოლო-ბოლო ეს პრემიერლიგაა და არა მეორე ან მესამე დივიზიონი და მსაჯობაც სამართლიანი უნდა იყოს. ასეთი უხეში შეცდომებით მსაჯობა არსად მინახავს“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აშვეთია კაპიტანია

მახაჩყალის „ანჟის“ ქართველი თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია გუნდის კაპიტნად დანიშნა მწვრთნელმა და ჩვენებურმაც სამკლავური დუბლით აღნიშნა.

აშვეთიამ „ჩერნომორეცთან“ მატჩში გაიტანა ორი გოლი და უკვე ათი მოუგროვდა.

კახა ზალამბერიძე

ადამია თავისას მისტირის

ბაქოს „ნეფთჩის“ თავდამსხმელი გიორგი ადამია გუნდის ინტერტოტოს თასიდან გავარდნის ერთ-ერთ მიზეზად საკუთარ თავსაც ასახელებს.

„ძალიან მინდოდა გატანა, მქონდა კიდეც ამის შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენე. ის რომ გამეტანა, სულ სხვა თამაში იქნებოდა და არავინ იცის, რა მოხდებოდა“ — განაცხადა ადამიამ, რომელმაც საგოლე მომენტი 0:0-ზე გაანიავა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.

2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.

3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?

4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?

5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?

6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?

7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?

8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?

9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?

10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

ახალი უზბეკები



ბიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი ჩავიდა უზბეკეთში

კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი ჩავიდა უზბეკეთში — ბოლნისის „სიონის“ ნახევარმცველები, ზურაბ ავალიანი და ბექა ნოზაძე „უზ-დონგ ჟუში“ გადავიდნენ.

ეს გუნდი უზბეკეთის ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა და იქიდან გეხსომებათ, რომ ცოტა ხნის წინ იქ თამაშობდა მეკარე ზურაბ ქვაჩახია, ვინც ახლა სწორედ „სიონშია“...

შეგახსენებთ, რომ უზბეკეთის ჩემპიონატში უკვე ათამდე ქართველი თამაშობს...

კახა ზალამბერიძე

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
ავსტრია. ბუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	შ	მატერსბურგი 3:0	90		2	0	5
ილია კანდელაკი	შტურმი	შ	მატერსბურგი 3:0	90		2	0	5
ავსტრია. ერსტელიგა								
მირზა ბუალავა	ა. ლუშტენაუ	შ	ზალცბურგი (მ) 1:2	0	განაცხადში არ იყო	1	0	12
შვეიცარია. სუპერლიგა								
გიორგი ივანიშვილი	ციურიხი	ს	აარაუ 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	მოსკვა 3:0	0	სათადარიგო	4	0	4
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	ს	მოსკვა 3:0	0	განაცხადში არ იყო	3	0	4
დავით კვირკველია	რუბინი	შ	ცსკა 0:0	0	სათადარიგო	12	2	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	ცსკა 0:0	90		7	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	ცსკა 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	ხიმკი 0:2	90		10	0	6
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	ს	ხიმკი 0:2	90		15	3	6
დავით სირაძე	ნალჩიკი	ს	ხიმკი 0:2	57	შეცვალეს	13	1	6
ლევან გვაზავა	ლუჩ-ენერგია	ს	სპარტაკი 0:3	0	განაცხადში არ იყო	10	1	14
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გედევან დარასელია	ტორპედო	ს	ურალი 0:2	0		0	0	19
ვალერი აბრამიძე	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	90		21	1	2
გიორგი ნავალოვსკი	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	90		18	0	2
მიხეილ აშვეთია	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	75	2 გოლი, შეცვალეს	20	10	2
ზურაბ არზიანი	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	90		16	0	2
რევაზ ჯიქია	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	38	შეცვლაზე ითამაშა	14	3	2
გოჩა ხოჯავა	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	0		19	1	2
რევაზ ბარაბაძე	ანჟი	შ	ჩერნომორეცი 3:0	15	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	8	1	2
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	ს	ვიტიაზი 1:2	90		19	0	22
გიგა გრიგალავა	სკა	შ	ენერგია 2:2	90		7	0	10
უკრაინა. პიშა ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	დნიპრო 3:1	0	ტრავმირებულია	0	0	1
დავით იმედაშვილი	დინამო	ს	დნიპრო 3:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
კახა მყავანაძე	ჩერნომორეცი	ს	მ. დონეცკი 0:1	0	სათადარიგო	0	0	16
გიორგი ციმაკურიძე	ზარია	ს	ვორსკლა 1:0	0	სათადარიგო	1	0	5
ჯაბა კანკავა	დნიპრო	შ	დინამო 1:3	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
სანდრო კობახიძე	დნიპრო	შ	დინამო 1:3	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
გიორგი დემეტრაძე	არსენალი	შ	კრივბასი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	4
ვასილ გიგიაძე	ტავრია		ტური გამოტოვა			1	0	9
სლოვაკეთი. პირველი ლიგა								
ირაკლი ლილუაშვილი	ნიტრა	ს	ზ. მორავცე 1:1	45	შეცვალეს	2	0	4
მოლდოვა. ნაციონალური დივიზიონი								
ჯაბა დვალი	დაჩია		ტური გამოტოვა			3	2	4
ლევან კორღალიძე	დაჩია		ტური გამოტოვა			3	0	4
სერგი ორბელაძე	დაჩია		ტური გამოტოვა			3	1	4
ვაჟა თარხნიშვილი	შერიფი		ტური გამოტოვა			3	0	1
მამუკა ლომიძე	ზიმბრუ	შ	ტირასპოლი 1:1	90		5	0	3
გიორგი ბაციკაძე	ისკრა		ტური გამოტოვა			0	0	9

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ჯიჯისთვის აკვილანი ფასდაუდებელია



იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ მეკარეს ჯანლუიჯი ბუფონს ძალიან უნდა, რომ ალბერტო აკვილანი „ბებერ ქალბატონში“ გადაბარგდეს. ჯიჯიმ თქვა, რა დიდი ფულიც უნდა მოგვთხოვონ „გლადიატორებმა“ ახალგაზრდა ნახევარმცველში, ნამდვილად ღირს მისი შეძენაო.

„იმედი მაქვს, რომ იგი ჩვენთან გადმოვა, ამის შანსი ჯერ კიდევ არის. ჩემი აზრით, ალბერტო ორ წელიწადში თავის პოზიციაზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. მგონი, „იუვეს“ ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რომ აკვილანის შეძენას დიდი ფული სჭირდება. ვნახოთ, რა მოხდება“ — განაცხადა ბუფონმა.

30 წლის გოლკიპერმა „იუვენტუსის“ თავდასხმაზეც ილაპარაკა. ჩვენზე ძლიერი შეტევის ხაზი სერია A-ში არავის ჰყავსო.

„ალსანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე, ვინჩენცო იაკვინტა და ამაური. მითხარით კიდევ ერთი კლუბი, რომელსაც ოთხი ასეთი, უმაღლესი კლასის თავდამსხმელი ჰყავს. მე ასეთ გუნდს ვერ ვხედავ. ცხადია, ამაურის მოსვლამ საგრძნობლად გაგვაძლიერა. მას ისეთი თვისებები აქვს, რომ შეტევაში მარტოსაც კი შეუძლია თამაში“ — დასძინა ჯიჯიმ.

გიორგი ძაძაგაძე

მუნტარი შავ-ლურჯია

გუშინ მილანის „ინტერმა“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ სულეი ალი მუნტარი შეიძინა და 23 წლის განელი მოგვიანებით პრესასაც წარუდგინა. ცხადია, მიღწეული შეთანხმებით ორივე მხარე კმაყოფილი და გახარებულია. ამბობენ, „ნერაძური“ „პორტსმუთს“ ექსუდინეზელში დაახლოებით 11 მილიონ გირვანქას გადაუხდისო.

შეგახსენებთ, რომ მუნტარიზე მილანელებმა ყურადღება მას მერე გადაიტანეს, რაც ფრენკ ლამპარდის გადაბირება ვერ შეძლეს. ამანტინო მანსინის მერე, განელი „ნერაძურის“ მეორე მნიშვნელოვანი შენაძენია მიმდინარე ზაფხულში.

„ინტერმა“ კი „ბარისთან“ ამხანაგური შეხვედრაც მოიგო — 2:0. ჟოზე მაურინიუ ექსპერიმენტებს აგრძელებს და ჯერჯერობით კმაყოფილია. პირველი გოლი ხულიო რიკარდო კრუსმა მარიო ბალოტელის პასით შეგადო, ხოლო მეორე — ადრიანომ, ამანტინო მანსინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით. მთლიანობაშიც, „იმპერატორი“ კარგად გამოიყურებოდა.

„ვიცი, რომ თავდაუზოგავად ვარჯიში უნდა გავაგრძელო და სიმშვიდე შევინარჩუნო. წინასასეზონო მოსამზადებელი პერიოდი მშვენივრად მიდის. ეს მატჩები კი ამხანაგურია, მაგრამ ჩვენ მუდამ მოსაგებად გავდივართ მინდორზე და ასეთ შეხვედრებშიც ჩანს ბევრი რამ“ — თქვა ადრიანომ.

სხვათა შორის, „ბარისთან“ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია „ნერაძურის“ კაპიტან ხავიერ ძანეტის — მისმა მეუღლემ პაულამ შაბათს ღამე ვაჟი — ინასიო გააჩინა.

ძოკი ანდელაძი

ეს ჩემი პრობლემაა

ლუიზ ფელიპე სკოლარიმ საამსეზონო მიზანი გააცხადა — „ჩელსი“ ოთხი ჯილდოს მოსაგებად იბრძოლებს.

ავრაამ გრანტის ხელში გუნდმა ჯერ ინგლისის ლიგის თასის ფინალი წააგო, მერე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ საჩემპიონო ბრძოლა და ბოლოს ჩემპიონთა თასის ფინალი.

ბრაზილიელმა დანიშვნისთანავე თქვა, რომ სულ მცირე ერთ ტიტულს მაინც მოაგებინებს „ჩელის“, ახლა კი ბრძანა — გრძელი და დამქანცველი სეზონის მიუხედავად, ჩვენ ოთხივე ჯილდოსთვის ვითამაშებთო.

„ეს ჩემი მიზანიცაა და ფეხბურთელებიც ასე ფიქრობენ — განაცხადა სკოლარიმ — რთული იქნება, მაგრამ საამისოდ კარგი გუნდი გვყავს. „ჩელსისგანაც“ მივიღე ყველაფერი, რაც მსურდა.

შევეცდები, ბიჭებს საკუთარი ძალის რწმენა ჩავუნერგო. ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ ვუთხრი, რომ მთავარია, მოინდომონ და გულიანად ივარჯიშონ, დანარჩენი უკვე ჩემი პრობლემაა და მე მივხედავ.

წინა სეზონში სამი ჯილდოსგან ერთ ნაბიჯში იყვნენ და ეს მომწონს“.

სკოლარიმ შეიგულა ის ბირთვი, რომელთა გარშემოც გუნდს ააწყობს. ორი ამხანაგური მატჩი აზიაში მოიგეს და მესამე მალაიზიის ლიგის ნაკრებთან დარჩათ.

„15 დღე გავატარე გუნდთან და გავარკვიე, თუ ვინაა „ჩელსისთვის“ უფრო მნიშვნელოვანი და ვის დავეყრდნობი სეზონის განმავლობაში, ვინ ითამაშებს სხვებზე უფრო მეტად ძირითად შემადგენლობაში“.

მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელს ჰყავს რჩეული ფეხბურთელები, განაცხადა, რომ პრემიერლიგის პირველი მატჩისთვის „პორტსმუთთან“, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ყველას აქვს.

„75 პროცენტით ვიცი, „პორტსმუთის“ წინააღმდეგ რომელ ფეხბურთელებს გავიყვან, მაგრამ მანამდე მინდა ვნახო, თუ ვინ როგორი მონდომებით ივარჯიშებს და 25 პროცენტშიც გავერკვე“.

ვაჟა ხუციშვილი

მადონინაზე უკვე ალაპარაკდნენ

სერია A-ს კალენდარი სულ ახლახან შედგა, მაგრამ მასზე უკვე ბევრი საუბარია და ყურადღების ცენტრში მილანური დერბია, რომელიც მე-5 ტურში 28 სექტემბერს გაიმართება. მეორე „დერბი დელა მადონინა“ კი 2009 წლის 15 თებერვალსაა.

ამ თარიღების არაფერი აქვთ საწინააღმდეგო „მილანის“ ბანკში, აი, „ინტერზე“ კი რა მოგახსენოთ, „ნერაძურიში“ ერჩივნათ, ქალაქური დერბები სხვა დროს გამართულიყო.

„დერბის მეხუთე ტურში თამაში ჯობია შარშანდელივით ნაახალწლევს თამაშს. თუმცა ზუსტად იმ პერიოდს ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ემთხვევა, რომელიც, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს — დერბი ამ თამაშზე ორი დღით ადრე გაიმართება“ — თქვა „ინტერის“ დირექტორმა ერნესტო პაოლილომ.

„კარგია, რომ თამაში ნორმალურ ამინდში მოგვიწევს. მარტალია, აქამდე დერბი სექტემბერში არ გვითამაშია, მაგრამ არა უშავს. ერთადერთი ის მაღელვებს, რომ მნიშვნელოვანი მატჩები ერთმანეთზე მიყოლებით გვაქვს და ძნელი სათქმელია, ეს კარგია თუ ცუდი. ზოგჯერ ასეა, ზოგჯერ კი ისე“ — აღნიშნა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.



ადრიანო გალიანი

„მილანისთვის“ ძალიან ბევრი რამ გადაწყდება სეზონის დასკვნით ნაწილში, კერძოდ კი მისში გასამართ ბოლო ოთხ ტურში. „როსონერი“ ჯერ „იუვენტუსს“ მასპინძლობს, მერე „უდინეზეს“ სტუმრობს, „რომას“ დაუხვდება და ბოლო ტურში, 31 მისს „ფიორენტინასთან“ აქვს გასვლა.

ძოკი ანდელაძი

არ გეკადრებათ!

ალექს ფერგიუსონმა ზეპ ბლატერს ნათქვამი დაუწუნა. ფიფას პრეზიდენტმა ამასწინათ განაცხადა, კრიშტიანუ რონალდუ თანამედროვე მონააო, რაკი ბიჭს „მანჩესტერ იუნაიტედი“ „რეალში“ არ უშვებს.

„მე ვიცი, რომ მონობა დიდი ხნის წინ გაუქმდა — ბრძანა „მანჩესტერის“ თავკაცმა — ასეთი რამის თქმა ფიფას პრეზიდენტს არ ეკადრება.

არ დაგავიწყდეთ, რომ ზოგი ფეხბურთელი წელიწადში 5-6 მილიონ გირვანქას იღებს. ამის გათვალისწინებით, მონობაზე საუბრის უფლება ბლატერის დონის კაცმა თავს არ უნდა მისცეს“.

მადრიდის „რეალის“ მწვრთნელი ბერნდ შუსტერი კი სულაც არაა რონალდუს ყიდვის მომხრე: „დაშინებულები ვართ იმ ფეხბურთელის შესაძლო ყიდვით, რომლის სახელსაც უცბად ვერც კი გავიხსენებ. როცა ასეთ რამეს იწყებ, თუ მალე არ მოაგვარე, მერე დაგვიანდება და სხვის შეძენას ვეღარ მოახერხებ. რამდენიმე თვეა, ამაზე საუბარი არ წყდება, დრო მიდის და ამის გამო დალაგებული გეგმები შეიძლება ამერიოს“.

ვაჟა ხუციშვილი

ფილისთვის მნიშვნელოვანი ფონი

ლონდონი „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ გაკვირვება გამოთქვა შონ რაიტ-ფილიპსის სხვა კლუბში შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით: „მე არც კი მიკითხავს მისთვის, სურდა თუ არა სხვა კლუბში გადასვლა. შონი ყოველდღე ვარჯიშობს გუნდთან ერთად და „ჩელსისთვის“ მნიშვნელოვანი მოთამაშეა. საერთოდ, პირველად გავიგე ასეთი ვარიანტის შესახებ“ — გაოცდა „დიდი ფილი“.

შეგახსენებთ, რომ რაიტ-ფილიპსით „პორტსმუთი“ გამოთქვამს დაინტერესებას.

პიუიგრენიემ ზენიტი აირჩია

ფრანგული „ნანსის“ ცენტრალურმა მცველმა სებასტიან პიუიგრენიემ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“ გადასვლა გადაწყვიტა. 26 წლის ფეხბურთელს ასევე ფრანგული „სენტ-ეტიენი“ ეპატიჟებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, რუსების წინადადება უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა. ამასთან, „ზენიტი“ პიუიგრენიეში სავარაუდოდ 6 მილიონ ევროს გადაიხდის, როდესაც „სენტ-ეტიენის“ ხელმძღვანელობა 4,3 მილიონზე მეტს ვერ იმეტებდა.

კინი თითქმის გაწითლდა

ინგლისური „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ბოლოს და ბოლოს შეელია რობი კინს და ირლანდიელი უკვე, ფაქტობრივად, „ლივერპულის“ მოთამაშეა. ინგლისური პრესის ცნობით, „წითლებმა“ კინის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა გაიღეს და ფორვარდი მერსისაიდელებს სამედიცინო შემოწმების შემდეგ შეუერთდება.

ირლანდიის ნაკრების კაპიტანს „ლივერპულში“ ხუთწლიანი კონტრაქტი და კვირაში 80 ათასი გირვანქა ელის. რობი კინი „დეზების“ შემადგენლობაში 6 წლის განმავლობაში გამოდიოდა და 197 შეხვედრაში 80 გოლი აქვს გატანილი.

მოუტინიუს წასვლა სურს

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველ ჟოაუ მოუტინიუს ლისაბონის „სპორტინგის“ დატოვება სურს.

მისით „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „არსენალი“ და „ბარსელონა“ დაინტერესდნენ, თუმცა ლისაბონელებს ოფიციალური წინადადებით ჯერჯერობით მხოლოდ ლივერპულის „ევერტონმა“ მიმართა.

„ევერტონმა“ ოფიციალური შეთავაზება გააკეთა, თუმცა „სპორტინგის“ ხელმძღვანელობას ინგლისელთა მიერ წამოყენებული პირობები არ მოეწონა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. პირადად მე გუნდის გამოცვლა გადავწყვიტე. „სპორტინგში“ ამის შესახებ უკვე იციან. იმედია, ისეთ ვარიანტს ვიპოვით, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს დააკმაყოფილებს“ — აღნიშნა მოუტინიუმ.

როგორც ცნობილია, ლისაბონელები მოუტინიუს 18 მილიონ გირვანქად აფასებენ, „ევერტონმა“ კი პორტუგალიელებს მხოლოდ 15 მილიონი ევრო შესთავაზა.

ეტოო ლიონში?

სამუელ ეტოო ეგებ ფრანგული „ლიონის“ რიგებში აღმოჩნდეს. „ბარსელონას“ და „ლიონის“ პრეზიდენტებს შორის წინასწარი მოლაპარაკება უკვე შედგა და ფრანგთა ჩემპიონი კლუბის შეფის, ჟან-მიშელ ოლას განცხადებით, ახლა ყველაფერი „ლიონის“ თავკაცის კლოდ პიუელის სიტყვაზეა დამოკიდებული. „თუ კლოდი იტყვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის აუცილებელია ეტოოს ან დიდიე დროგბას ყიდვა, ამისვის ყველაფერს გავაკეთებთ, იმ თანხასაც კი შევეხებით, რომელიც საზაფხულო ტრანსფერებისთვის იყო გამოყოფილი“ — თქვა ლიონელთა პრეზიდენტმა.

პანდევი რომში რჩება

„ლაციოს“ თავდამსხმელი გორან პანდევი რომაელებთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

„გორანს უკვე შევუთანხმდით. ვფიქრობ, რომ იგი კლუბში დიდი ხნით დარჩება“ — განაცხადა „ბიანკოჩელესტის“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ.

მაკედონიელი რომში უახლოეს მომავალში ჩავა და ახალ ხელშეკრულებაზე მოაწერს ხელს.

პლასენტე გადაიდო

ფრანგული „ბორდოს“ მთავარმა მწვრთნელმა ლორან ბლანმა უარყო, რომ დიეგო პლასენტე უკვე მათი კლუბის წევრია. არგენტინული „სან ლორენსოს“ მცველმა ფრანგულ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა, თუმცა, როგორც ბლანმა აღნიშნა, ჯერჯერობით მხოლოდ მოლაპარაკება მიმდინარეობს.

ტორესს დარჩენა უნდა

მადრიდის „რეალის“ მცველ მიგელ ტორესს „სამეფო კლუბის“ დატოვება არ სურს.

„არის რამდენიმე კლუბი, რომელთაც ჩემი შეძენა სურთ, პირადად მე კი მადრიდში დარჩენა მირჩევნია — აღნიშნა ფეხბურთელმა — პირველ გუნდში ადგილის დაბევება რთული იყო, მესამე სეზონიც ადვილი არ იქნება, თუმცა სისუსტე არ უნდა გამოვავლინო და უნდა შევეცადო, ძლიერი ვიყო. პირველივე დღიდან ბეჯითად ვმუშაობ და მწვრთნელის ნდობის მოპოვება სწორედ ამიტომ შევძელი“.

არჩილ ძოგასიძე

ლუკაშ პოდოლსკი
და ული ჰიონესი

კლინსმანმა ჰიონესი გააოცა

მიუნხენის „ბაიერნის“ ერთ-ერთმა მმართველმა ული ჰიონესმა კლუბის ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა — კარსმომდგარ სეზონზე, ლუკაშ პოდოლსკიზე...

— როგორ შეაფასებთ მოსამზადებელი პერიოდის პირველ ოთხ კვირას?

— ვფიქრობ, კმაყოფილები უნდა ვიყოთ. ყველაფერი კარგად მიდის და ნერვიულობის საფუძველი არ გვაქვს. ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ისეთ ფორმაში ვართ, როგორსაც ვისურვებდით, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს — ფეხბურთელები, რომლებმაც ევრო 2008-ზე მიიღეს მონაწილეობა, სულ ახლახან დაგვიბრუნდნენ. იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში დაშავებულ ფრანკ რიბერის ლაზარეთში არავინ შეუერთდება. იაპონიაში მოგზაურობის შემდეგ, მომავალ კვირას მოსამზადებელი პერიოდი თავის პიკს მიაღწევს და ისეთ დიდ კლუბთან მოგვიწევს ჭიდილი, როგორიც „ინტერია“. სეზონის დაწყებას სათანადოდ შევხვდებით.

— როგორ შეხვდა გუნდი ახალი მთავარი მწვრთნელის იურგენ კლინსმანის განსხვავებულ იდეებსა და წესებს?

— ჩემი აზრით, ბიჭები თავს მშვენივრად გრძნობენ ახალ მოსამზადებელ ცენტრში. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მათ თავი შინაურულად იგრძნონ. დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ აისახება ეს უშუალოდ თამაშზე.

— რას იტყვით იმაზე, რომ კლინსმანმა უარი თქვა ტრადიციულ წინასასეზონო შეკრებებზე?

— იურგენმა ეს იმით ახსნა, რომ ნაკრების ფეხბურთელებმა ისედაც გაიარეს 6-7 კვირიანი შეკრებები ევროპის ჩემპიონატამდე და მისი მსვლელობისას. ამას კიდევ 1-2 კვირა რომ დამატებოდა, ზედმეტი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ახალი მოსამზადებელი ცენტრი და ბრწყინვალე სავარჯიშო მინდორი გვაქვს. გარწმუნებთ, ეს თამამი და კარგი გადაწყვეტილება იყო.

— მოსამზადებელ პერიოდში პირველი სერიოზული მატჩი „დორტმუნდთან“ იყო, რომელშიც „ბაიერნი“ 1:2 დამარცხდა. ამ შეხვედრაზე რას იტყვით?

— იმ ფეხბურთელებმა, რომლებიც ახლახან შემოგვემატენ არადეგების შემდეგ, დაინახეს, რომ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ სამუშაო, რათა ფორმა აღიდგინონ. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ პირველ ტაიმში განსაკუთრებით გაგვიჭირდა, რადგან მინდორზე ევროპის ჩემპიონატის ექვსი მონაწილე იყო. მეტოქეს კი, რამდენადაც ვიცი, ასეთი ფეხბურთელი საერთოდ არ ჰყავდა. ამიტომ, მომზადებაში სხვაობა აშკარა გახლდათ, „დორტმუნდი“ უფრო შეთამაშებული იყო.

— თქვენ კლინსმანთან ერთად სათადარიგოთა სკამზე ოჯექით, ეს მან თავად გთხოვათ და ალბათ თქვენც გაგიკვირდათ, როგორც სხვებს, არა?

— დიახ, მეც გაკვირვებული ვიყავი. ფაქტობრივად, გადაწყვეტილი მქონდა, რომ ჩემს ჩვეულ ადგილს დავტოვებდი და ტრიბუნებზე გადავინაცვლებდი, მაგრამ იურგენმა დარჩენა მთხოვა და ბევრი არგუმენტით დამისაბუთა, თუ რატომ. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი და უმალვე დავთანხმდი.

— ლუკაშ პოდოლსკი ჯერ კიდევ არ არის 100 პროცენტით ბაიერნელი და შესაძლოა გუნდი დატოვოს?

— არა, ჩვენ მას ყოველთვის 100 პროცენტით ბაიერნელად აღვიქვამდით და ეს ასეც არის. ცხადია, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს ხოლმე, როცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და ეს სავსებით ლოგიკურია. „კიოლნმა“ მისი დაბრუნება ისურვა, რამაც ლუკაში ცოტა ჩააფიქრიანა, მაგრამ ვთვლი, არ შემცდარა, ჩვენთან დარჩენა რომ არჩია. ყოველთვის, როცა პოდოლსკის ვუყურებ, სიცოცხლით სავსე ბიჭს ვხედავ, რომელიც ამჟამად თავდაუზოგავად ემზადება მომავალი სეზონისთვის.

ბენზემას სურვილ-მსურველები



კატალონიური „სპორტის“ ინფორმაციით, „ბარსელონა“ ქარიმ ბენზემასთვის ბრძოლაში ჩაერთო. საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის“ ფორვარდით მადრიდის „რეალია“ დაინტერესებული და მას „მანჩესტერ იუნაიტედიც“ უტრიალებდა.

21 წლის ფეხბურთელმა კი თავად ერთხელ თქვა, მომავალში სამეფო გუნდის რიგებში სიამოვნებით ვითამაშებდიო...

„ბარსელონას“ სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა კი განაცხადა, ბენზემათი უკვე წელიწადნახევარია, დაინტერესებულნი ვართო. იგი საფრანგეთშიც ჩასულა და ფეხბურთელის აგენტ ქარიმ ჯაზირისთან ულაპარაკია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბენზემა ამბობს, „ლიონში“ კიდევ ერთი სეზონის გატარება მინდა და კლუბის გამოცვლაზე მერე ვიფიქრებო, მაგრამ გრანდებს მასზე ნადირობა ამ ზაფხულსვე აქვთ დაწყებული.

გიორგი ძაძაბაძე

ბორიელოს მუხლმა უმტყუნა



მარკო ბორიელოს, რომელმაც გასული სეზონი „ჯენოაში“ მშვენივრად ჩაატარა (19 გოლი) და „მილანს“ დაუბრუნდა, შესაძლოა, რამდენიმე თვე გაუცდეს. მან ერთ-ერთი ვარჯიშისას ტრავმა მიიღო. რთხშაბათს მარკო ანტვერპენში პროფესორ მარკ მარტენსს თავის დაშავებულ მარცხენა მუხლს აჩვენებს და ყველაფერი უფრო კონკრეტულად ამის მერე გახდება ცნობილი. თუმცა ბორიელოსა და „როსონერისდა“ სამწუხაროდ, დიდი შანსია, საქმე სერიოზულად იყოს.

ეს „მილანს“ პრობლემას უქმნის. ტრავმა აწუხებდა ვეტერან ფილიპო ინძაგისაც. კაკას ჯერ ბოლომდე არ მოუშუშებია მუხლი ოპერაციის მერე. ალეშანდრე პატო და რონალდინიო კი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადისთვის ემზადებიან და მთელ წინასასეზონო პერიოდს გამოტოვებენ.

ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, „მილანმა“ გარკვეული პერიოდით მაინც გადაიფიქროს ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის განათხოვრება და მას თამაშის საშუალება მისცეს. პალოსკი „ტორინოში“ იჯარით მიდის.

გამორიცხული არც ისაა, „როსონერიმ“ ახალი ფორვარდის დამატებაზე იფიქროს და კვლავ ანდრეი შევჩენკოს მიუბრუნდეს. მეორე კანდიდატად რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი რომან პავლიუჩენკო სახელდება.

ამასობაში, მილანელთა ლიდერ-თაგანი ანდრეა პირლო ამბობს, რომ კარიერის დასრულება „როსონერიში“ სურს.

„აქ ბედნიერი ვარ, კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს და არსად წასვლაზე არ ვფიქრობ, რადგან „მილანი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მოქმედი შეთანხმებით, კიდევ ორი წელი „როსონერის“ ფეხბურთელი ვარ და იმედია, ახლო მომავალში ახალ კონტრაქტსაც გავაფორმებთ. ვფიქრობ, მომავალ სეზონში სკუდეტოსთვის ჩვენს გარდა კიდევ ოთხი კლუბი იბრძოლებს — „რომა“, „ინტერი“, „იუვენტუსი“ და „ფიორენტინა“. თუმცა ჩვენ ამისთვის მზად ვართ და მთავარ მიზნად ჩემპიონობას ვისახავთ. რაც შეეხება რონალდინიოს, მას ჯერ არ შევხვედრივარ, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან გადმოვიდა და საერთოდ, „მილანის“ სატრანსფერო პოლიტიკით კმაყოფილი გახლავართ“ — თქვა 29 წლის პირლომ.

კოკი კანდელაკი

ტოტის მუტუ ეწყინა

„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი დამწუხრებულია იმის გამო, რომ ადრიან მუტუს ტრანსფერი ფაქტობრივად ჩაიშალა და ახლა უკვე თითქმის გამორიცხულია, რომ რუმინელი „გალდიატორთა“ რიგებში გადაბარგდება. არადა, რამდენიმე დღის წინ, ეს რეალურზე რეალური გახლდათ, მაგრამ „ფიორენტინამ“ საკმაოდ დიდ ფულზე თქვა უარი და მუტუს შენარჩუნება გადაწყვიტა.

„ველოდი თუ არა, რომ მუტუს ამბავი ასე დასრულედებოდა? რასაკვირველია, არა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, რომ ჩვენთან გადმოვიდოდა და უკვე ლამის თანაგუნდელად აღვიქვამდით. თუმცა ბედმა ისტორიის სხვაგვარი განვითარება ინება და ეს „რომას“ ბრალი არ არის. კრისტიან კივუმ მითხრა, სწორედ მუტუა ის ფეხბურთელი, რომლის დამატების მერეც სკუდეტოს მოგების რეალური შანსი გვექნებაო, მაგრამ ახლა სხვა მოთამაშის ძებნა მოგვიწევს. ვის დავიმატებთ? მწვრთნელი და ხელმძღვანელობა ორ მოთამაშეზე საუბრობენ, მაგრამ გვარებს არ დავასახელებ, რათა პრობლემები ავიცილოთ თავიდან“ — თქვა ტოტიმ.

იტალიური პრესა „ჯალოროსის“ ამჟამად სამ მოთამაშეს უკავშირებს — აიაქსელ კლაასს იან ჰუნტელაარს, რეალელ ჟულიუ ბაპტიშტასა და ჩელსელ ფლორან მალუდას.

„რომას“ მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი კი სულაც არ შეაწუხა იმ ფაქტმა, რომ რამდენიმე დღის წინ დედაქალაქელებმა „სტიაუასთან“ ამხანაგური მატჩი ფაქტობრივად უშანსოდ წააგეს 1:3.

„ამ შეხვედრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ ჰქონდა. თან დღეს „სტიაუა“ ჩვენზე უკეთ არის მომზადებული და ფიზიკურმა მხარემ თავი იჩინა. რაღაც-რაღაცები მომეწონა. მირკო ვუჩინიჩი მშვენიერ ფორმაშია, რაც მის მიერ ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გატანილმა გოლმაც დაადასტურა. რაც შეეხება ტოტის, კაპიტანიც და ექიმებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა მან „ინტერთან“ იტალიის სუპერთასზე თამაში შეძლოს. ვნახოთ, ჯერ მაინც ადრეა ამაზე საუბარი“ — აღნიშნა სპალეტიმ.

კოკი კანდელაკი

ვაგნერი ფლამენგოსაც მოშორდა

მოსკოვის ცსკა-ს თავდამსხმელ ვაგნერ ლავისთვის ბრძოლაში „პალმეირასის“ შემდეგ კიდევ ერთი ბრაზილიური კლუბი ჩაერთო — „ფლამენგო“. თანამემამულეების გარდა რიო დე ჟანეიროს კლუბს ევროპაშიც სერიოზული კონკურენტები ჰყავს: ლივერპულის „ევერტონი“, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, 20 მილიონ გირვანქას ჩამოდის ბრაზილიელის სანაცვლოდ, ასევე ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ და ფრანგული „მარსელი“.

ერთბაშად ორი ფორვარდის, სოუზას და მარსელინიოს წასვლის შემდეგ „ფლამენგოს“ თავდასხმის ხაზში შექმნილი ვაკუუმის შევსება სურს.

ოლიმპიაკოსი თუ ვილიარეალი

ბერძნული „ოლიმპიაკოსი“ და ესპანური „ვილიარეალი“ სევილიის „ბეტისის“ ფორვარდ ედუთი არიან დაინტერესებულნი. ბრაზილიელს ანდალუსიელებთან კონტრაქტი მომავალ წელს ეწურება, რის გამოც უფრო სავარაუდოა, რომ ედუ ამ ზაფხულს სხვა კლუბში გადაბარგდება.

პეტიტი და კიოლნი

გერმანული „კიოლნი“ პორტუგალიელი არმანდუ პეტიტით არის დაინტერესებული. „ბენფიკას“ ნახევარმცველი გერმანიაში გუშინ უნდა ჩაფრენილიყო და, სავარაუდოდ, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებდა. სამშობლოში პეტიტს თამაშის აგრესიული მანერის გამო „პიტბულს“ ეძახიან, პორტუგალიის ნაკრებში კი მას 54 მატჩში აქვს ჩატარებული.

ბარსას ინჩადა ბობოქრობს

ივლისის მონაცემთა მიხედვით, „ბარსელონას“ ფანკლუბის წევრთა რაოდენობამ 163 ათასს გადააჭარბა. ამ მხრივ, კატალონიელები თავიანთ მადრიდელ კონკურენტებს თითქმის ორჯერ აღემატებიან. „რეალის“ ფანკლუბში ამჟამად მხოლოდ 85 ათასი გულშემატკივარი ირიცხება.

ანრი ბერბატოვის ნაცვლად?

ეტყობა, ალექს ფერგიუსონს დიმიტარ ბერბატოვის შეძენის იმედი გადაეწურა და მანკუნიანელები კვლავ ტიერი ანრის მიადგნენ. ინგლისური პრესის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფრანგი ფორვარდის სანაცვლოდ „ბარსელონასთვის“ 15 მილიონი გირვანქის შეთავაზებას აპირებს.

რამდენიმე თვის წინ ანრი თითქოს „მანჩესტერში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ კატალონიელებმა ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაშალეს.

ოუენს ხელფასს უმცირებენ

როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, მაიკლ ოუენმა მომავალ ზაფხულს, შესაძლოა, „ნიუკასლი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვოს. ამჟამად კლუბსა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, თუმც მხარეები ოუენის ხელფასზე ვერ თანხმდებიან. ერთ დროს ინგლისის „ოქროს ბიჭუნა“ კვირაში 105 ათას გირვანქას იღებს, „კაჭკაჭების“ ხელმძღვანელობას კი, იმის გამო, რომ მაიკლი ტრავმირებულია, მისი ხელფასის შემცირება სურს.

ოპტიმისტი კინიონი

ლონდონის „ჩელსის“ აღმასრულებელი დირექტორის პიტერ კინიონის მტკიცებით, ლამპარდი, შევჩენკო და დროგბა აუცილებლად დარჩებიან კლუბში. გარდა ამისა, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „არისტოკრატები“ რობინიოს ყიდვით არიან დაინტერესებულნი.

ონილი ბერის შეხვდება

უახლოეს დღეებში „ასტონ ვილას“ მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილი ბოლოს და ბოლოს დელაპარაკება გარეთ ბერის შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. „ვილას“ დამრიგებელი ფეხბურთელს, სავარაუდოდ, ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის მიხედვით, ბერის ხელფასი 50 პროცენტით გაიზრდება და კვირაში 70 ათას გირვანქას მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ბერის „ლივერპულში“ განსაკუთრებული მისწრაფების გამო იგი ბირმინგემში „პერსონა ნონ გრატადაც“ კი გამოაცხადეს.

არსენალს ალიშერი ეპატრონება

რუსული პრესის ცნობით, ალიშერ უსმანოვი, რომელიც ლონდონის „არსენალის“ აქციათა 24,9 პროცენტს ფლობს, შეეცდება, აქციათა კიდევ 15 პროცენტი შეიძინოს. ამჟამად ამ 15 პროცენტის მფლობელი ნინა ბრაცეველ-სმიტია. სწორედ ამ ქალბატონთან აპირებს რუსი ოლიგარქი მოლაპარაკებას.

გასული წლის აგვისტოში უსმანოვმა დეივიდ დეინს აქციათა 14,6 პროცენტში 75 მილიონი გირვანქა გადაუხადა და „მეთოფეთა“ უმსხვილეს აქციონერად იქცა.

დიდი გაცვლის მოლოდინი

ტურინის „იუვენტუსის“ თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე, შესაძლოა „ბარსელონას“ რიგებში ვიხილოთ. კატალონიელები ფრანგი ფორვარდით კარგა ხანია, დაინტერესდნენ, თუმცა ტურინელები, სავარაუდოდ, ფულად კომპენსაციაზე უარს იტყვიან და „ბარსას“ კამერუნელ სამუელ ეტოოს მოსთხოვენ.

არჩილ კობახიძე

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— დღეს იმენა მაურინიუზე ვდგები.

— რა მაურინიუ, ტო! შავ-ლურჯად ხო არა ხარ!

— „ინტერის“ უეჭველი ერთიანი ვიცი. მაურინიუ ცვეტში მომგებია, მაგას ვენაცვალე. აი, ეგ არი ათკუშიანი ტრენერი. თვალები დახუჭე და მაგის გუნდის მოგება დაწერე. პირველ მატჩებს არ ყომარობს.

— მაიცა, მაიცა. აბა „ინტერი“?

— ვა! რა აბა, ძმაო, ეგ პროგრამა დასანიავებლად იყიდე? ჩაიხედე და ნახავ.

— ააა... „ინტერ“-„პარტიზანზე“ ბაზრობ? მერე ეგ „ინტერი“ მილანისა რო არ არი?

— აბა ვისია?

— ბაქოსი.

— ბაქოსი არა, ჯეიხანის...

— გეუბნები, ტო! ბაქოსია-მეთქი.

— თუ ძმა ხარ, რა! ბაქო და მილანი ვერ გაგირჩევია და ფუტბოლს მირაზბორებ ხოლმე.

— თუ გინდა, გრძელი მაზი გაგიმაზო, რო ბაქოსია.

— გრძელი რა პონტში, კრაუჩივით?

— რო წააგებ, მერე იკაიფე, ტო. გრძელ მაზზე მომყვები?

— გამიიასნე, რა პონტია. კუშებში დავბერდი, მაზით მაშინებ?

— პროსტაამც, თუ ეს „ინტერი“ ცვეტში ბაქოსი გაიჩითება, მაშინ თბილისი—ბაქო—ჯეიხანი ზურგით უნდა შემომატარო. მოსულა?

— თუ არა?

— მაშინ დამდნარ მაროჟნს გიკისრებ, ტო.

— ხარაშო. მარა, ვისთან გავაიასნოთ, ძმაო, ბაქოსია თუ მილანის?

— ვინმე ნეიტრალურს ვკითხოთ.

— გაეროს გენმდივნის მეგობარ ქვეყნებს?

— კიდე კაიფობ არა? კაიფი მერე ჩემი ნახე, ტო, ბაქოში ზურგით რო ჩამატასავებ და აზერბაიჯანში პოლიტიკურ თავშესაფარს რო მოითხოვ. აი, ამ ბიძას ვკითხოთ, გვერდით მაგიდასთან რო ზის.

— მიდი, ძმაო.

— ბიძაჩემო, „პარტიზანს“ რო „ინტერი“ ხვდება რომელი ქალაქისაა?

— მილანის.

— ე, ტო! თქვენ ხო არ...

— მიდი, მიდი, ძმაო. ორი ცალი დამდნარი მაროჟნი იყიდე და ხურდა თუ დაგრჩა, ბაქოში დარეკე.

კუზი კოზმარია

ჩემი ბილეთი
უეფას თასის საპასუხო შეხვედრა.
001 ნისტრუ — ჰერტა
პირველი მატჩი 8:1
შედეგი: „ნისტრუ“ გავა სტუმრად გატანილი გოლით.
სავარაუდო მოგება: სახლი ბერლინის პრესტიჟულ უბანში.
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა უთხრა თუ არა ტოპმიოლერმა კუპერს: „ვიზიარებ“, როცა საქართველოში მისი წამოსვლის ამბავი გაიგო.

114140 *

რიო ფერდინადი ბრუნდება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა რიო ფერდინანდმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონის დაწყებისთვის მზად იქნება. შეგახსენებთ, რომ „წითელი ეშმაკები“ პრემიერლიგას 17 აგვისტოს „ნიუკასლთან“ მატჩით იწყებენ.

ფერდინანდმა აქამდე ფაქტობრივად მთელი მოსამზადებელ პერიოდი გამოტოვა წელის ტრავმის გამო და კლუბს ტურნეშიც ვერ გაყვა, მაგრამ სარეაბილიტაციო კურსს წარმატებით ასრულებს და ამბობს, მალე სათანადო ფორმაში დავუბრუნდები მინდორსო.

„ვერ ვხედავ იმაში პრობლემას, რომ მოსამზადებელი პერიოდის გარკვეული ნაწილი გამიცდა. წინ კიდევ საკმაო როდენობის ტესტმატჩებია და ვფიქრობ, მომავალი სეზონის დაწყებას სათანადო ფორმაში შევხვდები“ — თქვა ფერდინანდმა.

გიორგი ძაძაბაძე

დაფს ჰლუს მილიონი

თავის დროზე „ჩელსიში“ ნათამაშებმა დემიენ დაფმა, შესაძლოა, ახალი სეზონი „ბლექბერნ რივერსში“ დაიწყოს. ირლანდიელის ამჟამინდელი კლუბი — „ნიუკასლ იუნაიტედი“ მზადაა, როვერსელი სტივენ უორნოკის სანაცვლოდ დემიენ დაფს და დამატებით 1 მილიონ გირვანქას შეელიოს.

ლუსიო მესამედ გაჭრეს

ბერლინის „ჰერტას“ ბრაზილიელ მცველ ლუსიოს უკვე მესამე ოპერაცია გაუკეთეს. ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და სამხრეთამერიკელი მოედანს, სავარაუდოდ, შემოდგომაზე დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ ლუსიომ მუხლის ტრავმა ჯერ კიდევ გასული სეზონის დასაწყისში მიიღო. გელზენკირხენის „შალკესთან“ შეხვედრისას მან მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და მენისკიც დაიზიანა.

კიდევ ერთი შავი კატა?

„ბოლტონ უონდერერსის“ სენეგალელი თავდამსხმელი ელჰაჯი დიუფი „სანდერლენდში“ სამედიცინო შემოწმებას გაივლის. 27 წლის ფეხბურთელს „ბოლტონთან“ ხელშეკრულება მომავალ ზაფხულს ეწურება და როი კინის „შავ კატებს“ მისი ტრანსფერი, სავარაუდოდ, 2,5 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

სერია B-დან სერია A-ში

სერია A-ს „ტორინომ“ სერია B-ს „ემპოლიდან“ ფრანჩესკო პრატალი აიყვანა. 29 წლის ფეხბურთელმა ტოსკანელთა შემადგენლობაში შვიდი სეზონი გაატარა და 144 თამაშში ორი გოლიც შეაგდო. პიემონტელებმა კი პრატალისთან სამწლიანი ხელშეკრულება დადეს, თუმცა მისი პირობები არ სახელდება.

პედანტი სიასია

ნიგერიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელმა სამსონ სიასიამ თავის ფეხბურთელებს მოსთხოვა, ექსტრავაგანტულ ვარცხნილობებზე უარი ეთქვათ. მკაცრი დისციპლინის მომხრე სიასია თვლის, რომ მისი შეგირდები საპარიკმახერო პროცედურებზე ძალიან ბევრ დროს ხარჯავენ და საერთოდაც, ფეხბურთელს ეოკლე ვარცხნილობით უფრო უადვილდება სირბილი.

სესკი რეალს არ გამორიცხავს

ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი „რეალში“ გადასვლის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუმცა მან ჟურნალისტებს მიანიშნა, რომ ეს მხოლოდ მომავალ წელს თუ იქნება შესაძლებელი:

„მე კალდერონისთვის („რეალის“ პრეზიდენტი) უარი არ მითქვამს, თუმცა ვფიქრობ, რომ ჯერ ამის დრო არ არის. რა თქმა უნდა, მახარებს, რომ ჩემით ასეთი დიდი კლუბია დაინტერესებული და თუ „არსენალი“ ამ სეზონში კვლავ ტიტულების გარეშე დარჩება, ეს ჩემთვის უკვე მეტისმეტი იქნება“ — განაცხადა ახალგაზრდა ესპანელმა.

არჩილ კოგბახიძე

ინტერტოტო ჩხუბით გააცილეს

ებრაული „ბნეი სახნინის“ შვიდი ფეხბურთელი თელ-ავივის აეროპორტში დაკავეს. მათ ფრიშოპიდან ოთხი ათასი დოლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელებისა და პარფიუმერიის გატანა ედებათ ბრალად. ამ ფაქტის მიუხედავად, ფეხბურთელებს ნება დართეს, ინტერტოტოს თასის მესამე წრის შეხვედრაზე გამგზავრებულიყვნენ, რომელშიც ებრაელები ესპანურ „დეპორტივოსთან“ 0:1 დამარცხდნენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ბრალდებულთა დაკითხვა კვლავ გაგრძელდება.

ამასობაში, უკვე უშუალოდ ინტერტოტოს თასის შეხვედრაზე მოხდა ინციდენტი. უნგრული „ჰონვედისა“ და ავსტრიული „შტურმის“ ფანებმა სტადიონზე მასობრივი ჩხუბი მოაწყვეს, რომლის შედეგად ათამდე ადამიანი დაშავდა.

მატჩი კი ავსტრიელთა გამარჯვებით დასრულდა — 1:2.

აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი დღე იყო ინტერტოტოს თასის ისტორიაში. მომავალი წლიდან ეს ღირსშესანიშნავი ტურნირი აღარ ჩატარდება.

არჩილ კოგბახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		29 ივლისი						
21:30	14	ალტახი-შტურმი	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		30 ივლისი						
21:45	15	გრასჰოპერი-სიონი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		30 ივლისი						
18:00	16	კრილია-სატურნი	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
19:00	89	ცსკა-ზენიტი	2.45	2.80	2.80	1.30	1.30	1.39
		შვედეთი. სუპერეტა						
		29 ივლისი						
21:00	176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	1.75	3.50	3.80	1.16	1.19	1.82
21:00	177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		30 ივლისი						
20:00	178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.45	3.90	5.70	1.05	1.15	2.31
21:00	179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		29 ივლისი						
23:45	207	რეიკიავიკი-ფიოლნირი	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
		აშშ. MLS						
		29 ივლისი						
05:00	217	სოლტ ლეიკი-ტორონტო	1.80	3.20	3.75	1.15	1.21	1.72
		უეფა. ჩემპიონთა ლიგა						
		29 ივლისი						
22:45	4	ბრანი-ვენტსპილსი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
18:00	5	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	4.20	3.20	1.80	1.81	1.25	1.15
22:45	12	დროგედა-დინამო კიევი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
		30 ივლისი						
22:00	1	ბეითარი-ვისლა	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.52
22:00	2	ფენერბაჰჩე-მტკ	1.10	7.50	12.50	1.00	1.01	4.68
22:30	3	ანდერლეხტი-ბატე	1.15	6.20	11.00	1.00	1.04	3.96
22:00	6	ოლბორგი-მოდრიცა	1.25	4.60	9.50	1.00	1.10	3.09
20:00	7	ტამპერე-პეტრჟალკა	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
22:30	8	ანორთოსისი-რაპიდი	2.80	3.10	2.20	1.47	1.23	1.28
22:45	9	დომჟალე-დინამო ზაგრები	3.50	3.10	1.90	1.64	1.23	1.17
22:15	10	გიოტებორგი-ბაზელი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
21:00	11	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	3.60	3.20	1.95	1.69	1.26	1.21
22:45	13	რეინჯერსი-კაუნასი	1.10	7.00	12.50	1.00	1.01	4.48
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		29 ივლისი						
22:00	299	გრიმსბი-ლინკოლნი	2.20	3.40	2.60	1.33	1.19	1.47
22:30	300	ბარნსლი-უიგანი	3.25	3.40	1.90	1.66	1.19	1.21
22:30	301	კარლაილი-მიდლსბრო	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13
22:30	302	პორტ ვეილი-დონკასტერი	3.00	3.40	1.95	1.59	1.18	1.23
22:30	303	ვეიმუთი-ექსეტერი	2.60	3.40	2.20	1.47	1.19	1.33
22:30	304	ბრაიტონი-იფსვიჩი	2.50	3.40	2.25	1.44	1.18	1.35
22:45	306	დარლინგტონი-ლიდსი	3.25	3.40	1.90	1.66	1.19	1.21
22:45	307	პერეფორდი-საუთჰემპტონი	2.80	3.40	2.05	1.53	1.18	1.27
22:45	308	კილმარნოკი-ჯპრ	2.80	3.40	2.05	1.53	1.18	1.27
22:45	309	ლესტერი-ბირმინგემი	2.80	3.40	2.05	1.53	1.18	1.27
22:45	310	ლუტონი-კოლჩესტერი	2.60	3.40	2.15	1.47	1.17	1.31
22:45	311	მაკლსფილდი-სტოკპორტი	2.60	3.40	2.20	1.47	1.19	1.33
22:45	312	ნოტსი-სტოკი	5.50	3.60	1.45	2.17	1.14	1.03
22:45	313	ოლდემი-ჰალი	3.50	3.40	1.80	1.72	1.18	1.17
22:45	314	პიტერბრო-ვესტ ჰემი	4.50	3.50	1.60	1.96	1.18	1.09
22:45	315	სუინდონი-კარდიფი	3.00	3.40	1.95	1.59	1.18	1.23
22:45	316	ტრანმერე-ბოლტონი	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13
22:45	317	უილსოლი-ვულვერჰემპტონი	2.80	3.40	2.05	1.53	1.18	1.27
22:45	318	იოვილი-პლიმუთი	2.50	3.40	2.25	1.44	1.18	1.35
22:45	319	ბლეკპული-სტ.მირენი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
22:45	320	უიკომბი-ოქსფორდი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
		30 ივლისი						
22:45	321	როტერჰემი-როვერსი	2.50	3.40	2.25	1.44	1.18	1.35
22:45	322	ვიტესი-აბერდინი	1.95	3.40	3.00	1.23	1.18	1.59
22:30	323	იორკი-ჰარტლპული	3.00	3.40	2.00	1.59	1.20	1.25
22:30	324	მოზერუელი-პრესტონი	2.20	3.40	2.60	1.33	1.19	1.47
22:45	325	ბაროუ-მორეკომბი	2.60	3.40	2.20	1.47	1.19	1.33
22:45	326	ბრედფორდი-ბარნლი	2.80	3.40	2.05	1.53	1.18	1.27
22:45	327	ლეიტონი-ტოტენჰემი	7.00	4.30	1.35	2.66	1.13	1.02
22:45	328	ნოტინგემი-სანდერლენდი	3.00	3.40	1.95	1.59	1.18	1.23
22:45	329	დონსი-უოტფორდი	2.40	3.40	2.40	1.40	1.20	1.40
23:30	330	ვილიარეალი-ლივერპული	2.35	3.25	2.50	1.36	1.21	1.41

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10004	ბრანი-ვენტსპილსი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	4.60	2.10	2.15	1.44	1.46	1.06
10012	დროგედა-დინამო კიევი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10001	ბეითარი-ვისლა	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10006	ოლბორგი-მოდრიცა	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10007	ტამპერე-პეტრჟალკა	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10008	ანორთოსისი-რაპიდი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10009	დომჟალე-დინამო ზაგრები	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10010	გიოტებორგი-ბაზელი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	4.00	2.00	2.30	1.33	1.46	1.06
10178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11004	ბრანი-ვენტსპილსი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11012	დროგედა-დინამო კიევი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11001	ბეითარი-ვისლა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11006	ოლბორგი-მოდრიცა	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11007	ტამპერე-პეტრჟალკა	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11008	ანორთოსისი-რაპიდი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11009	დომჟალე-დინამო ზაგრები	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11010	გიოტებორგი-ბაზელი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	3.00	2.80	2.00
15012	დროგედა-დინამო კიევი	3.00	2.80	2.00
15176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	3.00	2.80	2.00
15177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	3.00	2.80	2.00
15001	ბეითარი-ვისლა	3.00	2.80	2.00
15006	ოლბორგი-მოდრიცა	3.00	2.80	2.00
15007	ტამპერე-პეტრჟალკა	3.00	2.80	2.00
15008	ანორთოსისი-რაპიდი	3.00	2.80	2.00
15009	დომჟალე-დინამო ზაგრები	3.00	2.80	2.00
15010	გიოტებორგი-ბაზელი	3.00	2.80	2.00
15011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	3.00	2.80	2.00
15178	იორგრიტე-იონკოპინგი	3.00	2.80	2.00
15179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	2.90	1.32
16012	დროგედა-დინამო კიევი	1.58	2.10
16176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	1.25	3.40
16177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	1.40	2.55
16001	ბეითარი-ვისლა	1.50	2.30
16006	ოლბორგი-მოდრიცა	1.05	5.70
16007	ტამპერე-პეტრჟალკა	1.58	2.10
16008	ანორთოსისი-რაპიდი	1.95	1.65
16009	დომჟალე-დინამო ზაგრები	2.40	1.45
16010	გიოტებორგი-ბაზელი	1.62	2.05
16011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	2.45	1.40
16178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.12	4.60
16179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	1.50	2.30

გოლი:ყვავილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვავილად)

17004	ბრანი-ვენტსპილსი	1.85	1.95
17005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	1.85	1.95
17012	დროგედა-დინამო კიევი	1.85	1.95
17176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	1.85	1.95
17177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	1.85	1.95
17001	ბეითარი-ვისლა	1.85	1.95
17006	ოლბორგი-მოდრიცა	1.85	1.95
17007	ტამპერე-პეტრჟალკა	1.85	1.95
17008	ანორთოსისი-რაპიდი	1.85	1.95
17009	დომჟალე-დინამო ზაგრები	1.85	1.95
17010	გიოტებორგი-ბაზელი	1.85	1.95
17011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	1.85	1.95
17178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.85	1.95
17179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი	2.30	1.65
14012	დროგედა-დინამო კიევი	1.80	2.00
14176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი	1.45	2.40
14177	მიალბი-ბრომაპოიკარნა	1.70	2.20
14001	ბეითარი-ვისლა	1.75	2.10
14006	ოლბორგი-მოდრიცა	1.08	2.90
14007	ტამპერე-პეტრჟალკა	1.80	2.00
14008	ანორთოსისი-რაპიდი	2.00	1.80
14009	დომჟალე-დინამო ზაგრები	2.20	1.70
14010	გიოტებორგი-ბაზელი	1.80	2.00
14011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	2.20	1.70
14178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.20	2.60
14179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	1.75	2.10

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12004	ბრანი-ვენტსპილსი 2,5	2.00	1.60
12005	უნივერსიტესი ბაქო-პარტიზანი 2,5	1.70	1.90
12012	დროგედა-დინამო კიევი 2,5	1.90	1.70
12176	ფალკენბერგი-ენჩიოპინგი 2,5	2.00	1.60
12177	მიალბი-ბრომაპოიკარნა 2,5	1.90	1.70
12001	ბეითარი-ვისლა 2,5	1.60	2.00
12006	ოლბორგი-მოდრიცა 2,5	1.90	1.70
12007	ტამპერე-პეტრჟალკა 2,5	1.60	2.00
12008	ანორთოსისი-რაპიდი 2,5	1.60	2.00
12009	დომჟალე-დინამო ზაგრები 2,5	1.70	1.90
12010	გიოტებორგი-ბაზელი 2,5	1.70	1.90
12011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა 2,5	1.70	1.90
12178	იორგრიტე-იონკოპინგი 2,5	2.00	1.60
12179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო 2,5	1.90	1.70

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ოქრო, რომელიც სისხლის ფასი ღირს



ბადრი ხასაია: მე უნდა მოვიგო!

ბადრი ხასაია: მე უნდა მოვიგო!

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ბელარუსიდან დაბრუნდა და დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს თბილისში ფალავანთა კლუბში გადის. ბეგი დარჩიას მოჭიდავეებმა მინსკში ორკვირიანი შეკრება გაიარეს და 1 აგვისტოს პეკინში მიემგზავრებიან. გუშინ „ანტიკოსთა“ ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ბადრი ხასაიას (84 კგ) ვესაუბრეთ, ვინც წინა ოლიმპიადა ტრავმის გამო გამოტოვა და მოახლოებულ პეკინის ზაფხულის თამაშებს გაორმაგებული მოლოდინით ელის. ხასაია იმ იშვიათ სპორტსმენთა რიცხვს განეკუთვნება, ტრავმა ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად რომ ექცათ და ამის გამო ნიჭიერ მოჭიდავეს ბევრჯერ შეშლია ხელი. რაღა შორს წავიდეთ, მაისში ტამპერეში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ფინალი ტრავმის გამო ვერ იჭიდავა, თურქს ოქროს მედალი იძულებით დაუთმო.

საკვირველია, რომ ამდენი ტრავმის გადამტანი ფსიქოლოგიურად სულაც არ გატეხილა და აკი გვითხრა კიდეც: „ტრავმებს მიჩვეული ვარ. წელიწადი ისე არ გავა, ერთი პრობლემა მაინც არ გამომიჩნდეს, თუმც არაფრის დათმობას არ ვაპირებ, ეს სპორტია და სხვანაირად ვერც გამოვა“...

ბადრის ევროპის ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა და თავიდან ამაზე ვკითხეთ, მერე კი, ბუნებრივია, მოახლოებულ ოლიმპიადაზეც ვისაუბრეთ.

— ამ ტრავმის გამო თვენახევარი გამიცდა, თუმცა ისე არ ვმჯდარვარ. ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. მართალია, ხალიჩაზე გასვლა მეკრძალებოდა, მაგრამ დავრბოდი და ტონუსს ვინარჩუნებდი. ანუ წონა შევინარჩუნე. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ექიმებს — ზურაბ კახაბრიშვილს და თეა ადამიას, ვისი დახმარებითაც ტრავმა მოვირჩინე. ამის მერე ჩემი პირველი შეკრება ნაკრებთან ერთად სოხეთში, წახკაძორში შედგა. იქ უკვე ფიზიკურადაც ვიტვირთებოდი და ხალიჩაზეც მიწევდა გასვლა. ერთი ეგაა, ბეგი დარჩია სხვებთან შედარებით ცოტა ნაკლებს მტვირთავდა, თუმც ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა.

— ამ დროს ტრავმა აღარ გაწუხებდა?

— პერიოდულად შემახსენებდა ხოლმე თავს, მაგრამ ისეთი არაფერი იყო. სომხეთის მერე ბორჯომში გავიარეთ მომზადება და ბოლოს მინსკში. იქ უკვე პრობლემა აღარ მქონია, თავს კარგად ვგრძნობდი.

— 1 აგვისტოს პეკინში მიდიხართ. 14-ში კი ჭიდაობაც გიწევს. ანუ ბევრი დრო აღარ დაგრჩა ოლიმპიადაზე გამოსვლამდე. როგორ ფორმაში ხარ ამ ეტაპზე?

— ისეთ ფორმაში ვარ, როგორც წესით ამ დროისთვის არის საჭირო. ღვთის წყალობით, გამოვჯანმრთელდი და ვფიქრობ, ნორმალურად ვარ. საუკეთესო კონდიციებში კი იმ დროს უნდა ვიყო, როცა ჭიდაობა მომიწევს. მართალია, ტრავმამ ბევრი გამიცდინა, მაგრამ, მეორე მხრივ, დასვენების საშუალება მომეცა და ეს სპორტსმენისთვის ცუდი სულაც არ არის.

— ტრავმის გამო ათენის ოლიმპიადა გაგიცდა. წლებია, ოლიმპიადაზე გამოსვლას ელოდები. როგორი გრძნობა გაქვს ახლა, დღედღეზე ხომ პეკინში მიდიხარ?

— მართლაც საოცარი გრძნობაა, მაგრამ საკუთარ თავს სულ იმაზე ვებრძვი, რომ რაც შეიძლება ნაკლები ვიფიქრო, ემოციისგან არ დავიცალო, რადგან ეს მერე ჩემზე ცუდად იმოქმედებს. ოლიმპიადა ძალიან დიდი ტურნირია, მაგრამ იქაც ის ბიჭები დამეჭიდებიან, ვინც სხვა ტურნირებზე ყველას კარგად ვიცნობ და სიურპრიზებს არ ველი. მეორეს მხრივ, მაქსიმალური მობილიზება მმართებს, რადგან თითოეულ მეტოქესთან ბოლომდე უნდა დავიხარჯო. ჩემთვის მთავარია, რომ ის შესაძლებლობები, რაც გამაჩნია, ბოლომდე წარმოვაჩინო. ის ვიჭიდაო, რაც მეხერხება და კარგადაც გამომდის. უდიდესი შრომა მაქვს ჩადებული აქამდე ბევრი ტრავმა და დაბრკოლება დავძლიე და მინდა, ეს ყველაფერი არ დაიკარგოს.

— ოლიმპიელთა უმეტესობა საუბარში ამბობს, რომ პეკინში სუსტი არავინ იქნება და ყველა მეტოქეში კონკურენტს ხედავენ. რას იტყვი, ვინმეს მაინც თუ გამოარჩევ.

— კი, ასეა, იქ სუსტი არავინ იქნება. ესეც არ იყოს, ოლიმპიადაა, ყველა ბოლომდე იბრძვის და ცდილობს, თავისი თავი რაც შეიძლება, კარგად წარმოაჩინოს. თუმცა რამდენიმე ძირითად კონკურენტს მაინც ვიტყვი: რუსი, შვედი და თურქი, ვინც ევროპის ჩემპიონატის მედალი წამართვა, რაკი ტრავმის გამო არ შემეძლო დაპირისპირება. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატიც აქვს ასე მოგებული, იღბალი არ გინდა?!...

ისე, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმესთან შეხვედრას გავურბივარ. თუ მედლის აღება და წინ წასვლა გინდა, ამაზე ნაკლებად უნდა იფიქრო. მოკლედ, რაც მოსახდენია, მოხდეს. ძლიერი უნდა შემხვდეს თუ სუსტი, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მე უნდა მოვიგო!

— პეკინში მიზანი რა გექნება?

— მინიმუმ სამეულში უნდა შევიდე. მართლა უდიდესი შრომა მაქვს ჩადებული ამ ყველაფერში და მინდა, რომ დაძიფასდეს. თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და ღვთის ნებაც იქნება, ჩემპიონობაც არაა გამორიცხული... ახლა რაც შემიძლია ქართველ გულშემატკივარს ვუთხრა, ისაა, რომ პეკინში გამარჯვებისთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ.

ლეჭსო მაისურაძე

ქართველების გამარჯვებაში წვლილი დავით ძიძიგურმაც შეიტანა

ელიტისკენგზა ფინეთზეგადის

საძართველო 85:79 სლოვაკეთი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა უნგრულ დებრენეცში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ ჯგუფის ბოლოსწინა მატჩში სლოვაკეთი დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეინარჩუნა.

მიხეილ კობეშავიძის შეგირდები, შეგახსენებთ, B დივიზიონში თამაშობენ და ახალა ელიტაში ასასვლელად იბრძვიან. ელიტაში კი ტურნირის ფინალისტები გადავლენ.

იქამდე ჯერ შორია, გუშინ კი ჩვენებმა დრამატული მატჩი მოუგეს სლოვაკებს.

პირველი მეოთხედი საქართველომ 12 ქულით წააგო და მეორე მეოთხედის დასაწყისში 14 ქულითაც ჩამორჩა მეტოქეს, მაგრამ თორნიკე შენგელიას, ნიკა მეტრეველის და კოკა ტომარაძის კარგი თამაშით მეტოქეს ჩამორჩენა ამოუქაჩეს და პირველი ტაიმი ფრედ 43:43 დასრულდა. აქედან მოყოლებული თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში კვლავ თანაბარი იყო — 77:77. გადამწყვეტ მომენტში კი ჩვენმა კადეტებმა ნერვების სიმტკიცე გამოაჩინეს, ხელი არ აჰკანკალებიათ და ბოლო წამებზე სლოვაკეთი 85:79 დაამარცხეს.

ქართველთაგან საუკეთესოები, როგორც ზემოთაც ვთქვით, თორნიკე შენგელია (21 ქულა), ნიკა მეტრეველი (21 ქულა) და კოკა ტომარაძე (18 ქულა) იყვნენ.

შეგახსენებთ, რომ სლოვაკეთამდე, საქართველოს ნაკრებმა მასპინძელი უნგრეთი დაამარცხა და დანიასთან წააგო. ჯგუფის ბოლო, გადამწყვეტ მატჩში, მიხეილ კობეშავიძის გუნდი დღეს ფინეთს შეხვდება და თუ მეტოქეს მოუგო შემდეგ ეტაპზეც გავა.

სამი ერი. მეოთხე ტური

ავსტრალიელებმა შავები გაათეთრეს

ავსტრალია 34:19 ახ. ზელანდია

ავსტრალია: ეშლი-კუპერი, ჰეინესი, ქროსი, ბერნსი, ტუკირი; ჟიტუ, ბურჯესი; პალუ, სმიტი (კაპ), ელსომი, შარპი , ჰორვილი, ბაქსტერი, შური, რობინსონი

სათადარიგონი: პოლოტა-ნაუ, დანინგი, ვიკერმანი, ვუ, კორდინგლი, ტაუ, მიჩელი

4ლ: ქროსი, ჰეინესი, ელსომი, ჰორვილი; 4 გ: ჟიტუ, 1ს: ჟიტუ; 1 ა: ჟიტუ

ახალი ზელანდია: მულიაინა, ტაიტავაკე, კაუი, ნონუ, სივივატუ; კარტერი, ელისი; კაინო, ბრეიდი, სოოიალი (კაპ), უილიამსი, სორნი, სომერვილი, ჰორი, ვუდკოკი

სათადარიგონი: მეალამუ, აფოა, ბორიკი, ლაუაკი, ქოვეინი, დონალდი, სმიტი

3ლ: მუილიანა, ჰორი, ელისი; 2გ: კარტერი

ამ უძმეებზე სამხრეთული „სამი ერის“ გათამაშების მორიგი მატჩი გაიმართა. სიდნეის „ტელსტარ სტედიუმზე“ ერთმანეთს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა დაძაბული და სანახაობრივი გამოვიდა, ანდა სხვანაირად როგორ იქნებოდა, როცა ბოლო დროს საუკეთესო ფორმაში მყოფი „ვოლაბები“ რაგბის რომანტიკოსებს საკუთარ კედლებში 80 000 გავეშებული გულშემატკივრის თვალწინ ეთამაშებოდნენ.

სიტუაციას დამატებით ინტრიგას ისიც სძენდა, რომ მას შემდეგ, რაც ავსტრალიელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ, რომლის ხელშიც უკვე ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს, პირველად ეთამაშებოდნენ „შავებს“.

„ვოლაბების“ მწვრთნელი კი რობი დინსი გახლავთ. იგი ახალზელანდიელია. „ოლ ბლექსის“ დამოძღვრაზე თავის დროზე უარი უთხრეს, გაბრაზდა, დაიქადნა და შეასრულა კიდეც. საერთო ჯამში, როგორც სტატისტიკა იტყობინება, კუნძულელებმა მეტოქეს ბურთის ფლობაში აჯობეს. „შავები“ ამას თიქმის ყოველთვის და ყველასთან ახერხებენ თავიანთი სუპერმოიერიშეების წყალობით, მაგრამ დაცვაში დამაჯერებელი თამაში რომ გადამწყვეტი გახდა, ეს ბოლო მსოფლიოს თასმაც აჩვენა.

აუცილებლად ცალკე სათქმელია „ვოლაბთა“ ათი ნომრის მეტ ჟიტუს თვალისმომჭრელი რაგბობა. ახალგაზრდა და უნივერსალური გამთამაშებლის მეოხებით სულ უმნიშვნელო შეცდომებიც არ აპატიეს ავსტრალიელებმა მომხვდურთ. ამ შერკინებაში ჟიტუმ თავის სანაკრებო მარაგს 14 ქულა მიამატა.

შეხვედრის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. საწყის წუთებში „კენგურუების“ ერთ-ერთი აგრესიული შეტევის დროს, ჟიტუ ბრედ სორნმა კისერში შებოჭა, რის გამოც ჯარიმით და ყვითელი ბარათით დაისაჯა. „ოქროსფერების“ ჩუბინმა ჯარიმა ზუსტად დაატრყა და მალე კაცნაკლული მოწინააღმდეგის დალალოვებაში მთავარი როლიც შეასრულა. ჟიტუმ თავის ნახევარზე ბურთი ჩაიგდო, დრიბლინგით ხუთი კაცი გააბითურა და ზედ მეტოქის ლელოსთან უპასა რაიან ქროსს, რომელმაც პასი შეირგო და მასპინძლები კიდევ უფრო დააწინაურა. ჟიტუმ კი გარდასახვა გამოიყენა — 10:0. საპასუხოდ ახალზელანდიელებმა მაილს მულიანათი გაჭრეს კარტები. ფეხბალმა 15-მა ნომერმა თავისსავე ჩაკიდებულ ბურთს ბოლომდე სდია, მეტოქის ლელოსთან მოიხელთა და პირველი ხუთი ქულა მოინაგრა.

32-ე წუთისთვის ავსტრალიელებმა კიდევ ერთი ლელო გაიტანეს. ქროსმა სივივატუს აჯობა, ბურთი ფეხით მოწინააღმდეგის ლელოში შეაგორა, რომელსაც პეტარ ჰეინესი ზედ დაახტა. ჟიტუ გარდასახვისას ისევ შეუცდომელი იყო.

პირველი ნახევრის დასრულებამდე ბურთზე კონტროლი „კუნძულელებმა“ დააწესეს. ამ უპირატესობას ყველაზე უკეთ ალღო სტუმართა ჭუკერმა ენდრიუ ჰორიმ აუღო. მან თავისი ამპლუის მოთამაშისთვის უჩვეულო ჩაუქობა გამოიჩინა, ოთხი ავსტრალიელი გააპამპულა, ლელოს ხაზზე მდგომ დამცველს ზედ გადაუარა და ლელო გაიტანა. დენ კარტერმა, პირველისგან განსხვავებით, მეორე გარდასახვა გამოიყენა. ანგარიში 17:12 გახდა და უკიდურესად დაძაბული სიტუაცია მსაჯმა სასტვენით განმუხტა.

გუნდები შესვენებაზე გავიდნენ, იქიდან მობრუნებულებმა კი ისევ ძვლებისმმტვრეველი ბრძოლა გააჩაღეს. მეორე ნახევრის დასაწყისში ისევ ახალზელანდიელები აქტიურობდნენ. კარტერმა დაცვა გაჭრა და მან ანონუს უპასა, ვინც შეტევა ენდი ელისთან გააგრძელა. „შავების“ ცხრა ნომერმა კი სალელოვედ ირბინა. კარტერმა გარდასახვა გამოიყენა და სტუმრები შეხვედრაში პირველად და უკანასკნელად დაწინაურდნენ — 17:19.

ძალიან გაბრაზდნენ ავსტრალიელები. ყვირილ-ღრიალით და ჯაჯგურ-ჯაჯგურით მოწინააღმდეგის შერკინება ლელოს ხაზამდე ჩაათრიეს. იქიდან გამოტანილ ბურთს კი ლელოში ადგილი როკი ელსომმა მიუჩინა. გარდასახვაზე ისევ ჟიტუმ ივარგა. „ვოლაბები“ წინ გავიდნენ. სტუმრებს კი ასეთმა ტემპმა და მეტოქის შემართებამ არაქათი გამოაცალა. დარჩენილ დროში ჟიტუს არეკნს, ჰორვილის ლელოს და კიდევ ერთ გარდასახვას ვერაფერი დაუპირისპირეს „კივებმა“. ავსტრალია ორი გამარჯვებით „სამი ერის“ ერთპიროვნული ლიდერია. შემდეგ შეხვედრას დამდეგ უქმეებზე „ვოლაბები“ ამჯერად უკვე ახალ ზელანდიაში, ოკლენდში გამართავენ.

ზურაბ მიგრიაული

მეტ ჟიტუმ ზელანდიელები არ გაიკარა

ლევან ახვლედიანი

ლევან ახვლედიანს სურვილი აუსდა

გეორ-გიას ანგოლა ერგო

როგორც იცით, 26 ივლისს შვეიცარიის ქალაქ გშტაადში პეკინის ოლიმპიადაზე პლაჟის ფრენბურთელთა კენჭისყრა გაიმართა და ჩენებური წყვილების გეორ-გიასა და საქა-რთველოს მეტოქეებიც გაირკვა. შვეიცარიაში ჩვენი ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანიც იმყოფებოდა, ვინც გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე იქაურ შთაბეჭდილებებზე გვიამბო.

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ კენჭისყრა უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი და, მათ შორის, შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი დაესწრო. ორივე წყვილი C ჯგუფში მოხვდა და თან თითქმის ერთი ქვეყნის მეტოქეები შეხვდათ. ბიჭებსაც და გოგონებსაც დაპირისპირება ბრაზილიელებსა და ავსტრალიელებთან მოუწევთ. გოგონები ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ. ბრაზილიელი მეტოქეები არა მარტო ჯგუფში, არამედ მთლიანად ოლიმპიადაზეც ფავორიტები არიან. ძალიან ძლიერია ავსტრალიელების დუეტი. კუკი უგამოცდილესი ფრენბურთელია, სიდნეის ოლიმპიადაზეც უთამაშია. ეს გოგოც საკმაოდ ნიჭიერია. ასე რომ, ავსტრალიელი წყვილი გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს ასაკოვანი, გამოცდილი და ახალგაზრდა ნიჭიერი ფრენბურთელებისა. მათთან ჩვენს გოგონებს სერიოზული ბრძოლა მოუწევთ და ვნახოთ, რა იქნება.

საკმაოდ კარგი წყვილი ჰყავთ რუსებსაც. ურიადოვა-შირიაევას ტანდემმა ევროპის ჩემპიონატიც მოიგო. ბოლო დროს თამაშის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესეს და ხელწამოსაკრავი გოგონები არ არიან. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ძალიან გვსურს, რომ რუსები დავამარცხოთ და მჯერა, გოგონები ამისთვის არაფერს დაიშურებენ. მინდა, მათი განწყობა გადმოგცეთ: ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და არაფრის დათმობას არ აპირებენ. ბუნებრივია, რთული იქნება ჯგუფიდან გასვლა, მაგრამ, ვნახოთ, პლაჟის ფრენბურთი სპეციფიკური სპორტის სახეობაა და გამორიცხული არაფერია.

რაც შეეხება ბიჭებს. შვეიცარიაში წასვლამდე ანგოლას წყვილი ვისურვე და მიხარია, რომ, ამ მხრივ, გაგვიმართლა. ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანია, როცა იცი, რომ ერთ თამაშს აუცილებლად მოიგებ. ეს ფაქტი ბიჭებს წაადგებათ. თუმცა მაინც მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო, თამაში მოსაგებია.

სამაგიეროდ, ბრაზილიური წყვილი რიკარდუ და ემანუელი შეგვხვდა უძლიერესი. ვთვლი, რომ ესენი ამ ეტაპზე ოლიმპიადის მთავარი ფავორიტები არიან. რეიტინგში კი მე-3 ნომრად მხოლოდ იმიტომ იყვნენ განთესილი, რომ შარშან რამდენიმე ტურნირი გამოტოვეს და ქულები დააკლდათ. გადამწყვეტი დაპირისპირება კი ავსტრალიელებთან, შახტთან და სლაკთან, მოგვიწევს. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ჯგუფში რომელ ადგილს დავიკავებთ, რადგან მერე მეტოქეც შესაბამისი სიძლიერის გვხვდება.

ბიჭების კარგი გამოსვლის მართლაც გვჯერა. სპორტული თვალსაზრისით, მათ პრობლემა ნამდვილად არ ექნებათ. მთავარია, ფსიქოლოგურად როგორ შეხვდებიან თამაშებს. ისეთი სპორტია, რომ ყველა ნიუანსს აქვს მნიშვნელობა და რამის განსზღვრა რთულია.

ერთსაც ვიტყვი: ჩვენს წყვილებს უამრავი გულშემატკივარი ეყოლება, რადგან ბრაზილიაში მათ მაგრად ქომაგობენ თავიანთი წყვილების შემდეგ. იქ ფრენბურთი მეორე სახეობაა ფეხბურთის მერე და ახლა საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელები სწორედ იმის ცდაში არიან, თამაშების დრო ისე დაემთხვეს, რომ ბრაზილიაში თავისუფლად უყურონ.

ლევსო მაისურაძე

ქართველები კუბერტენის წინააღმდეგ

მიზანი, რომელიც მონაწილეობაზე მეტია

სულ ცოტაც და, გულშემატკივარი 16 დღე ტელეეკრანებს მიეჯაჭვება. პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა რჩება. 8 აგვისტოს ჩინეთში ოთხწლეულის ყველაზე გრანდიოზული სპორტული ფორუმი გაიხსნება, სადაც საქართველო 35 სპორტსმენით წარსდგება.

ქართული დელეგაციის პირველი ჯგუფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში უკვე გაემგზავრა. დელეგაციაში არიან ოლიმპიურ სოფელში ჩვენი მისიის ხელმძღვანელი ლერი ხაბელოვი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და ადმინისტრაციის სხვა წევრები.

დევიზი „უკეთ, ვიდრე ათენში“ ძალაშია, დანარჩენი კი პეკინის სპორტულ არენებზე გამოჩნდება“ — გვითხრა გამგზავრების წინ ინტერვიუში ᲔᲛᲖᲐᲠ ᲖᲔᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ემზარ ზენაიშვილი

— იმედიანი განწყობით მივემგზავრებით. ოლიმპიური თამაშების დონისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, პეკინში 10 დღით ადრე ჩავდივართ, რათა კიდევ ერთხელ ადგილზე ვნახოთ და მოვაგვაროთ ყველა საორგანიზაციო საკითხი. მართალია, ორგანიზაციული საკითხების უდიდესი ნაწილი, რაც უშუალოდ სეოკ-ის ფუნქციაში შედიოდა მოგვარებულია, მაგრამ ნიუანსებს, აბა, რა გამოლევს. 27 ივლისს ოფიციალურად იხსნება ოლიმპიური სოფელი, ხოლო ჩვენი სპორტსმენების პირველი ნაკადი სოფელში 31 ივლისს ჩავა.

— სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე რას იტყოდით?

— ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება ყველაფერი მარტივად მოეჩვენოს. თვითმფრინავის ბილეთებს შეუკვეთავ, შემდეგ სასტუმროსაც დაჯაშვნი და მორჩა, მაგრამ ვინც საქმის კურსში არ არის ის ვერ გაიგებს, თუ რა ჯოჯოხეთური სამუშაოა შესასრულებელი. მარტიდან სეოკ-ის თითქმის ყველა თანამშრომელი მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზეა გადასული. უამრავი საკითხია, რომელთა ჩამოთვლაც ძალზე შორს წაგვიყვანს. პეკინი 2008-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან სისტემატურად ზღვა მასალები და ინფორმაცია იგზავნება ოლიმპიურ სოფელში, საცხოვრებლის, სპორსტმენთა ვარჯიშების გრაფიკის, დოპინგ-კონტროლის, სააკრედიტაციო სისტემის და სხვა ბევრ მნიშვნელოვან საკითხებზე. ერთი შეცდომა, ერთი არასწორად გაგზავნილი ფაქსი და...

— მოდით, ორიოდე სიტყვა ჩვენი გუნდის მგზავრობასა და ეკიპირებაზეც ვთქვათ...

— რა თქმა უნდა, ყველაფერთან ერთად, სპორტსმენთა კარგი გუნება-განწყობილების შესაქმნელად უთუოდ საჭიროა მოხდენილი როგორც სპორტული, ისე ოფიციალური ეკიპირება. წინა ოლიმპიადის მსგავსად, ჩვენი გუნდის გახსნა-დახურვის საზეიმო ცერემონიალის ჩაცმულობაზე ამჯერადაც ავთანდილ ცქვიტინიძემ იზრუნა, ხოლო სპორტული ეკიპირება ცნობილმა იაპონურმა ბრენდმა „მიზუნომ“ დაგვიმზადა. ვფიქრობთ, რომ პეკინში ქართველი ათლეტები ერთ-ერთი საუკეთესოდ ჩაცმულ-დახურულნი იქნებიან.

რაც შეეხება მგზავრობას, ოლიმპიური გუნდის ოფიციალური გადამყვანი საქართველოსა და უკრაინის ავიახაზები იქნება. სპორტსმენთა პირველი ჯგუფი ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში 30 ივლისს გაემგზავრება, ხოლო სულ ბოლოს, 12 აგვისტოს, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები შემოგვიერთდებიან. იმედია, 25 აგვისტოს, როდესაც ყველანი ერთად თბილისში ჩარტერული რეისით გამოვემგზავრებით, თვითმფრინავის ბორტზე საკმაო რაოდენობის მედლები იქნება.

— ნათქვამია, მთავარია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და არა შედეგი, თუმცა იმედია, ჩვენი დელეგაცია პეკინში ამ დევიზით არ მიემგზავრება...

— ეს ფრთიანი ფრაზა, რომელსაც თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელს ბარონ პიერ დე კუბერტენს მიაწერენ, ლამისაა ოლიმპიური თამაშების დევიზად იქცა, რასაც ვერ დავეთანხმები. ოლიმპიადაზე გასეირნება ტურისტული ფირმების მეშვეობითაც შეიძლება, სპორტულ არენებზე კი სპორტსმენი საბრძოლველად უნდა გავიდეს. ამიტომაც ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ მონაწილეობა ჩვენი თვითმიზანი არასოდეს ყოფილა და არც დელეგაციაში სპორტსმენთა სიმრავლისკენ მივილტვით, თუმცა მეორე მხრივ, საქართველოდან თამაშებში რაც მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას, მით უკეთესია. პეკინში კი როგორც იცით, 35 ათლეტი დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას.

— კმაყოფილი ხართ მოპოვებული ლიცენზიების რაოდენობით?

— კარგად მოგეხსენებათ ქართველი კაცის მაქსიმალიზმის შესახებ, მით უფრო სპორტში. წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ოლიმპიადაზე 35 სპორტსმენით წასვლა ცუდი შედეგი არ. უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ციფრი ქართული სპორტის დღევანდელ რეალობას შეესაბამება. პეკინში 13 სახეობაში გამოვალთ. ესენია — ტყვიის სროლა, სპორტული ტანვარჯიში, მშვილდოსნობა, ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა, ბატუტზე ხტომა, ცურვა, მძლეოსნობის ორი დისციპლინა, კრივი და პლაჟურთი.

საქართველოს პრეზიდენტი ოლიმპიურ ჩემპიონებს მილიონ ლარს დაპირდა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲜᲘᲨᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— მოცურავეთა მწვრთნელ ირინა მინჟულინასთან დაკავშირებით ამტყდარ აჟიოტაჟზეც გკითხავთ, როდესაც სეოკ-ი იქნა დადანაშაულებული...

— სიმართლე გითხრათ, მავანთა აბსურდულ და არაობიექტურ გამონათქვამებზე კომენტარის გაკეთების სურვილი არ მაქვს, მაგრამ მაინც ავღნიშნავ, რომ სეოკ-ი არ ყოფილა ირინა მინჟულინას პეკინში არწყვანის ინიციატორი. ჩვენ ორგანიზება გავუკეთეთ სააკრედიტაციო სამუშაოს ჩატარებას 150 ადამიანზე, რომელთა შორისაც იყო ქალბატონი მინჟულინაც. სპორტული ეკიპირებისთვის მისი მონაცემები ტოკიოში ჯერ კიდევ შარშან გაიგზავნა. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ირინა მინჟულინამ სეოკ-ის ხელმძღვანელობასთან საუბარში აღნიშნა, მოცურავეებს მართლაც არ დაგვიმსახურებია პეკინში წასვლაო, მაგრამ ითხოვა, თუ სპორტსმენებს მაინც წავიყვანდით, მაშინ ისიც არ დაგვეტოვებინა, რაც ადამიანურად ჩემთვის სავსებით გასაგებია.

იმ პერიოდში დელეგაციაში ამა თუ იმ წევრის შეყვანა-არშეყვანის საკითხი მართლაც განხილვის სტადიაში იყო. ეს ერთობლივი მსჯელობის საგანი იყო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტსა და სეოკ-ის ხელმძღვანელობას შორის. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორი შედეგით დამთავრდებოდა ჯერ კიდევ მიმდინარე სალიცენზიო ტურნირები. მეორე მხრივ ეხლაც ვთვლი, რომ ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას დამსახურება სჭირდება. ეს არის ურთულესი საბრძოლო ბატალიები, მრავალსაფეხურიანი სალიცენზიო ტურნირები, სადაც შენი ოსტატობით, ნიჭით უნდა დაიმსახურო, მოხვდე იმ 10 700 სპორტსმენს შორის, რომელიც ოლიმპიადაზე იასპარეზებს. შესაბამისად თავად ფედერაციაშიც უნდა ყოფილიყო მსჯელობა როგორც სპორტსმენის, ისე მათი მწვრთნელის წასვლა-არ წასვლის შესახებ.

— როგორ წარიმართა პეკინის ოლიმპიადისთვის მზადება?

— მინდა აღვნიშნო, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის, ისევე როგორც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის, სპორტსმენთა მომზადებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ფედერაციაა. ეს მათი პირდაპირი პროფესიული მოვალეობაა. სპორტული სტრუქტურების — ოლიმპიური კომიტეტი იქნება ეს თუ სახელმწიფო — ფუნქციაა, ხელი შეუწყოს ფედერაციებს ამ მისიის შესრულებაში.

შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში მზადებისთვის სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი არ ყოფილა. სპორტსმენებმა არაერთი ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გაიარეს ან ახლაც გადიან. მაგალითად, ნინო სალუქვაძემ ახლახან დაამთავრა შეკრება სომხეთში, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ბელარუსში არიან, ხოლო თავისუფლები ბორჯომში, ძიუდოისტები პეკინსიკენ გზადმიმავალნი ყაზახეთში ივარჯიშებენ...

წელს მზადების, როგორც სპორტული, ისე ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარის ფინანსური უზრუნველყოფა თავის თავზე სახელმწიფომ აიღო. ამ მხრივ შეფერხებები არ ყოფილა.

— როგორც იქნა, პირველად დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ოლიმპიადაზე სპორტის სათამაშო სახეობაშიც გამოვალთ...

— დიახ, საბედნიეროდ ნავსი გატყდა და პეკინში ბურთიან სახეობაშიც ვცდით ბედს. რა თქმა უნდა, ბრაზილიელი „ქართველების“ გეორ-გიასა და საქა-თველოს მი-

მართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, ავღნიშნავთ ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ლევან ახვლედიანის უდიდეს პირად წვლილსაც, მაგრამ დღეს მთავარია, თუ როგორ გამოვიყენებთ ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობას, ჩვენ ქვეყანაში პლაჟბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით. თამაშებში მონაწილეობის ფაქტი უნდა გახდეს მძლავრი სტიმული იმისა, რომ ლონდონში ჩვენი ადგილობრივი კადრებით შევძლოთ ასპარეზობა.

— ოლიმპიური ნაკრები კათალიკოს-პატრიარქმა და პრეზიდენტმაც გააცილეს...

— დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები იყო ჩვენი ათლეტებისთვის, მწვრთნელებისთვის, დელეგაციის ყველა წევრისთვის. ჯერ იყო და, ისინი უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო და ლოცვა-კურთხევით გზა დაულოცა, ამას მოჰყვა ოლიმპიური ფიცის დადება, რომელიც მთელი გუნდის სახელით დავით ქევხიშვილმა წაიკითხა. იქვე მოხდა დელეგაციის პრეზენტაციაც, სპორსტმენებს გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს ცნობილმა ადამიანებმა და ბოლოს, პეკინში ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები თავის რეზიდენციაში ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო.

— და ყველა სასიამოვნო სიურპრიზითაც გააოცა...

— დიახ, ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო. სახელმწიფოს მხრიდან მილიონი ლარი ოლიმპიური ოქროსთვის მართლაც რომ საოცარი ჯილდოა. პრეზიდენტის მიერ გაცხადებული თანხა უთუოდ შესაშური საპრიზო ფონდია ჩემპიონებისთვის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი ჯილდო მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს დაწესებული, გამონაკლისი მხოლოდ ჩინეთია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ მხარდაჭერასა და თანადგომაზე, რაც საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას აქვს სახელმწიფოსა და პირადად ქვეყნის პირველი პირისგან. ახლა მთავარია, სპორტსმენთა მხრიდან მაქსიმალური კონცენტრაცია და მობილიზება. მათ სპორტულ არენებზე გასვლისას მხოლოდ მეტოქის დამარცხებაზე და თავიანთი საუკეთესო თვისებების წარმოჩენაზე უნდა იფიქრონ და არა ფულზე.

— და თქვენი აზრით, პირველ რიგში რა არის საჭირო წარმატებისთვის?

— ისეთი რანგის სპორტულ ფორუმზე, როგორიც ოლიმპიური თამაშებია წარმატებას რამდენიმე კომპონენტის ერთობლიობა განაპირობებს. სპორტსმენთა შემართება, ნიჭიერება, თავდადება... ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები, გვყავს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი მწვრთნელები. სპორტული ფორტუნაც თუ გადმოგვხედავს, წესით, ყველაფერმა ჩვენთვის სასიკეთოთ უნდა ჩაიაროს.

— და მაინც, რა შედეგებს უნდა ველოდოთ პეკინიდან?

— ძნელი სათქმელია. ჩვენს სპორტსმენებს იოლი გასეირნება, რომ არ ელით, ნათელია. სეოკ-ის დევიზის გამართლებაც ურთულესი საქმე იქნება, თუმცა იმის პოტენციალი, რომ ოლიმპიადაზე ღირსეულად ვიასპარეზოთ, ნამდვილად გვაქვს. დარწმუნებული ვარ, ოლიმპიური მედლები იქნება, თუმცა ხარისხობრივად დაყოფა გამიჭირდება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ოლიმპიური ციკლის მთელი პერიოდის განმავლობაში სპორტსმენებსა და მწვრთნელთა კორპუსს არ შექმნიათ პრობლემა ფინანსური თუ ორგანიზაციული მზადების თვალსაზრისით. სახელმწიფოსა და სხვა სპორტული სტრუქტურების მხრიდან იყო სრული მხარდაჭერა და თანადგომა. იმედია, სამშობლოში თავაწეულები დავბრუნდებით.

— ორიოდ სიტყვით 31 ოქტომბერს დანიშნულ სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზეც ვთქვათ.

— მართალი გითხრათ, ამ ეტაპზე არჩევნები ჩემთვის არ არის პრიორიტეტული. ჩემი და კოლეგების ფიზიკური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების კონცენტრაცია პეკინი 2008-ის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზეა გადატანილი.

ისე კი მიმაჩნია, რომ თარიღი 31 ოქტომბერი რამდენადმე ნაადრევია. თავი რომ დავანებოთ იმ მრავალწლიან ტრადიციას, როდესაც სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია დეკემბერში იმართებოდა, გასათვალისწინებელია ეროვნულ ფედერაციათა ყრილობებიც. დამეთანხმებით, რომ ოლიმპიადის დასრულებიდან თვენახევარში ძალზე ძნელია ყველა ფედერაციაში საარჩევნო ყრილობების ნორმალურ დონეზე ჩატარება. ამიტომაც ვგრძნობ, რომ ბევრი ფედერაცია თხოვნით მოგვმართავს, რათა მათი ყრილობები ნოემბერ-დეკემბრისთვის გადაიდოს, რაც სეოკ-ის შემადგენლობის ფორმირებას გაართულებს.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, მივესალმები ყველას ვინც ახალი იდეებით მოვა სეოკ-ის სათავეში და ახალ სიმაღლეზე აიყვანს ქვეყანაში ოლიმპიზმის პროპაგანდას. ხელს შეუწყობს როგორც მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებას, ისე მოძრაობაში „სპორტი ყველასათვის" მოსახლეობისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფართოდ ჩართვას.

პეკინში გამგზავრების თარიღისთვის ოფიციალურად მხოლოდ გია ნაცვლიშვილის კანდიდატურა დაფიქსირდა. ბატონ გიას ძალზე მაღალი თანამდებობა უკავია, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში, მეცნიერებათა დოქტორია და ყველაფერ ამასთან ერთად სპორტშიც გამორჩეული ფიგურაა — წლების მანძილზე ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, კლუბ „საგარეჯოს" დამფუძნებელი და პრეზიდენტი, სპორტისთვის სასიკეთო არაერთი თაოსნობის ინიციატორია.

— ოლიმპიუპრ კომიტეტში ქვენს სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...

— ამის თაობაზე ჯერ ნამდვილად არ მიფიქრია. თითქმის 20 წელია სეოკ-ში ვსაქმიანობ და იმ წარმატება-წარუმატებლობის თანამოზიარე ვარ, რაც ამ ხნის მანძილზე ქართულ ოლიმპიზმს გააჩნდა. დღევანდელი გადასახედიდან ვერ ვხედავ აუცილებლობას, რომ სეოკ-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელად დავრჩე, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ჩემი გამოცდილება და ენერგია რაიმე ფორმით მოთხოვნადი იქნება, თავს ბედნიერად ჩავთვლი, კვლავაც უშუალოდ ვიყო ოლიმპიურ ოჯახში.

ლუკა ძახაძე

ქართველი ოლიმპიელებს გზა გივი ბერიკაშვილმაც დაულოცა

გურამ დოლიძეშვილის ფოტო

ოქსანა კალაშნიკოვა უკრაინელებს დაერია



ოქსანა კალაშნიკოვა

მაკა ჩახნაშვილი

ორიოდე დღის წინ ქართველი ოქსანა კალაშვნიკოვა უკრაინაში, ხარკოვის ტურნირზე ჩოგნაობდა, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი მატჩი მოიგო, მაგრამ ძირითად ბადეში პირველივე წრეში დამარცხდა.

ახლა კალაშნიკოვამ ხარკოვიდან იქვე, დნეპროპეტროვსკში გადაინაცვლა. დნეპროპეტროვსკში 50-ათასიანი ტურნირი დაიწყო, ჩვენიანი კი, ხარკოვის დარად, საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეეცდება ძირითად ბადეში მოხვედრას.

კალაშნიკოვამ უკვე მოიგო ორი მატჩი. ქართველმა ჩოგბურთელმა ჯერ მასპინძელი განა პივენი 6:2 6:2 დაჩაგრა, მერე კი ასევე უკრაინელს, კვალიფიკაციაში მე-2 ნომრად განთესილ ლესია ტუსენკოს 6:0 6:7 6:4 მოუგო. ძირითად ბადეში მოსახვედრად ოქსანა კალაშნიკოვას კვლავ უკრაინელის, ოქსანა ტეპლიაკოვას დამარცხება მოუწევს. იქამდე კი კალაშნიკოვა წყვილეებშიც ითამაშებს. ქართველს ყირგიზი პალკინა შეუამხანაგდა და ლატვიურ-რუსული დუეტის, კუზმინა-პაშკოვას წინააღმდეგ ითამაშებენ.

დნეპროპეტროვსკშივე ითამაშებს კიდევ ერთი ქართველი სოფო შაფათავა, ოღონდ, კალაშნიკოვასთან განსხვავებით, იგი პირდაპირ ძირითად ბადეშია განთესილი და საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულებამდე უქმობს. წყვილებში კი შაფათავას თანამეჩოგნე რუსი შამაიკოა. შაფათავა-შამაიკოს წყვილი, რუსებს დავიდოვასა და კონდრატიევას დუეტს ეთამაშება.

ამერიკულ სენტ ჯოზეფში 10-ათასიან ტურნირზე ითამაშებს სოფო მელიქიშვილი. მელიქიშვილი ძირითად ბადეშია განთესილი და ახლა საკვალიფიკაციო ეტაპიდან თავის მეტოქეს ელოდება.

მელიქიშვილივით მეტოქეს ელის მანანა შაფაქიძე, რომელიც რუმინეთის ქალაქ არადაში დაწყებული 10-ათასიან ტურნირზე ძირითად ბადეში მოხვდა. არადაში შაფაქიძე მე-5 ნომრად არის განთესილი. კიდევ ერთი ქართველი ჩოგბურთელი, სოფო ქვაცაბია, შორეული მაროკოში, ქალაქ რაბატში 10-ათასიან ტურნირზე ითამაშებს და პირველ წრეში მისი მეტოქე რუსი აუგუსტა ციბეჩევაა. როგორც უნდა დასრულდეს მათი ჩოგნაობა, ქვაცაბაია და ციბეჩევა მაროკოშივე კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს. ოღონდ ამჯერად მხარდამხარ ითამაშებენ და წყვილების პირველ წრეში უკრაინულ-რუსული დუეტის, უმანეცის და ბურმასტოვას დამარცხებას შეეცდებიან.

საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი მაკა ჩახნაშვილი კი იტალიურ რომინიშია, სადაც ერთობ სოლიდური, 75-ათასიანი ტურნირი დაიწყო. ჩახნაშვილი ძირითად ბადეშია განთესილი და პირველ წრეში გერმანელ ანა-ლენა გრონეფილდს ხვდება. თუ ქართველმა გერმანული ბარიერი დაძლია, მისი მომდევნო მეტოქეც უნგრელი ნიგისასა და იტალიელი გაბას შორის უკეთესი იქნება. სხვათა შორის, ჩახნაშვილი სწორედ ნაგასისთან ერთად ითამაშებს წყვილებში. ჩახნაშვილისა და ნაგასის წყვილი ტურნირზე მე-3 ნომრად არის განთესილი. მათი პირველი მეტოქე კი რუმინელი ბოგდანი და იტალიელი ვაიდეანუს წყვილი იქნება.

გაჩო სვანიძე

ლაბაძე გრაცში

ავსტრიულ გრაცში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი TENNIS MASTERS CHALLERGER, სადაც ჩვენი ირაკლი ლაბაძეც ითამაშებს.

ორგანიზატორებმა ქართველი ჩოგბურთელი ეგრეთ წოდებული „ველური ბარათით" დაპატიჟეს ტურნირზე და პირდაპირ ძირითად ბადეში ჩასვეს.

ირაკლი ლაბაძის პირველი მეტოქე პოლონელი მიხაილ პრჟიშიეზნია. თუ ქართველმა პოლონელს მოუგო, მეორე წრეში ჩეხი ვანეკისა და ბელგიელი ნორმანის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

გრაცის ტურნირის საპრიზო ფონდი 30 ათასი ევროა, ჩემპიონი 4300 ევროს და 55 სარეიტინგო ქულას მოიპოვებს.

გაჩო სვანიძე

სარეიტინგო ადი-ჩადი

გუშინ ორშაბათი იყო და ტრადიციულად, ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა, რომლებშიც 18 ქართველია — 7 კაცი და 11 ქალი.

სასიხარულო ამბავი ის გახლავთ, რომ ლაზარე კუხალაშვილმა, ვინც რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდა ATP-ის კლასიფიკაციაში, ერთბაშად 188 საფეხურით მაღლა აინაცვლა და 1098-ე პოზიციას უწია. კარიერის უმაღლეს, 1121-ე საფეხურზეა ნოდარ ითონიშვილი, რომელმაც 45 ნაბიჯით წაიწია წინ.

აგრძელებს წინსვლას სოფო შაფათავაც, რომელმაც ასევე კარიერის უმაღლეს, 291-ე საფეხურს უწია. აი, მაკა ჩახნაშვილმა კი კვლავ დაკარგა ქულები და 16 პოზიციით დაბლა, მესამე ასეულში დაიხია.



ლაზარე კუხალაშვილი

ფოტო: ფოტოსააგენტო „ფოტო“

ჯაცები

452 (-12) ლადო ჩიხლაძე	63
781 (-4) ირაკლი ლაბაძე	19
1098 (+188) ლაზარე კუხალაშვილი	6
1121 (+45) ნოდარ ითონიშვილი	6
1533 (-5) დემეტრე თაქთაქიშვილი	1
1622 (-11) გიორგი ჭანტურია	1
1866 (-6) გიორგი ხრიკაძე	1

ქალები

213 (-16) მაკა ჩახნაშვილი	139
218 (-1) ანა ტატიშვილი	137
291 (+3) სოფო შაფათავა	83
489 (0) თინა ყავლაშვილი	34
558 (-6) ოქსანა კალაშნიკოვა	27
593 (-4) მანანა შაფაქიძე	24
644 (-20) სალომე დევიძე	20
695 (-9) სოფო ქვაცაბაია	17
728 (-4) ეკა გორგოძე	14
936 (-3) მაგდა ოქრუაშვილი	6
1019 (-5) სოფო მელიქიშვილი	4

ჯაჭვები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6605
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	6305
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5055
4. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2945
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2925
6. ენდი როდიკი (აშშ)	2065
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2005
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1980
9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1835
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1685
11. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1545
12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1435
13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1400
14. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	1390
15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1340
16. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1315
17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1280
18. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1265
19. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1245
20. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	1240

საჩემპიონო რბოლა

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	1055
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	686
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	674
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	386
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	321
6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	280
7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	256
8. ენდი როდიკი (აშშ)	255
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	251
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	241
11. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	212
12. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	210
13. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
14. იგორ ანდრეევი (რუსეთი)	185
15. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	183
16. ტომი რობრედო (ესპანეთი)	180
17-18. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	179
17-18. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	179
19. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	177
20. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	175

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3828
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3740
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3626
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3455
5. სერენა უილიამსი (აშშ)	3251
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	3105
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	2606
8. დინარა საფინა (რუსეთი)	2522
9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2176
10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	2141
11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1977
12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1837
13. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1802
14. აგნეს სჟავაი (უნგრეთი)	1610
15. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1550
16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1455
17. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1390
18. ფლავია პენეტა (იტალია)	1350.
19. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1268
20. მარია კირილენკო (რუსეთი)	1203

საჩემპიონო რბოლა

1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2770
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2761
3. სერენა უილიამსი (აშშ)	2590
4. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2455
5. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2051
6. დინარა საფინა (რუსეთი)	1998
7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1821
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	1766
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1727
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1559
11. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1068
12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	1060
13. ფლავია პენეტა (იტალია)	1022
14. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1016
15. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	953
16-17. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	860
16-17. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	860
18. აგნეს სჟავაი (უნგრეთი)	853
19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	848
20. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	820

ყველა საფარის რაფაელი

მოდით, ვიყოთ სამართლიანები და ვაღიაროთ, რომ ეჭვიც კი არ გვეპარებოდა რაფაელ ნადალის გამარჯვებაში. ესპანელი საოცრად დიდი მოტივაციით გავიდა კორტზე, საოცრად იყო დაგეშილი ტორონტოს ტიტულზე და ნიკლას კიფერს რას დაუთმობდა. მალიორკელმა ძალიან წყნარად, ყოველგვარი აღელვებისა და პრობლემის გარეშე გადაურბინა გერმანელს — 6:3 6:2 — და მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება დაუტოვა, რომ ისინი დიდი ტურნირის ფინალს კი არა, ნადალის მორიგ ვარჯიშს უცქერდნენ. მეტ-ნაკლები ბრძოლა მხოლოდ მეორე სეტის მეხუთე გეიმში შედგა, რომელმაც 15 წუთს გასტანა და რომელშიც გერმანელს ორი თუ სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. ამის იქით რაფამ მთელი შეხვედრა გასაოცარი ცივსისხლიანობით ჩაათამაშა და წლეულს თავისი მეშვიდე ტიტული გაინაღდა.

ასე რომ, ნადალი მაქსიმალურად მიუახლოვდა როჯერ ფედერერს და ახლა ჩოგბურთში შვეიცარიელის ოთხწლიან დომინირებას რეალურად ემუქრება. ეს უკვე ამ კვირაში შეიძლება მოხდეს — თუ ესპანელმა ცინცინატიშიც იხეირა (სხვათა შორის, 9-დან ერთადერთი მასტერსია, რომელიც მალიორკელს არ მოუგია ან ფინალში მაინც არ ყოფილა), ხოლო ფედერერმა ნახევარფინალზე ადრე წააგო, მსოფლიო საჩოგბურთო წესრიგი ნამდვილად შეიცვლება.

„რა თქმა უნდა, ძალიან მინდა პირველი ჩოგანი გავხდე. ვის არ უნდა? მაგრამ ჩემი ახლანდელი ადგილითაც კმაყოფილი ვარ. ბლომად ტიტულები მოვიგე, ქულებიც საკმაოდ დავაგროვე და ნორმალურ სიტუაციაში უკვე პირველი ვიქნებოდი, მაგრამ მაინც მეორე ვარ, რადგანაც წინ ექსტრაორდინალური ჩოგბურთელი მისწრებს როჯერის სახით“ — ჩვეულად თავაზიანი იყო ნამატჩევს ნადალი.

გადაუსწრებს თუ არ გადაუსწრებს, ან როდის მოხდება ეს, მაინც მომავალის საქმეა და მარჩიელობას ჰგავს. ამიტომ მოდით, უკვე მომხდარს მივუბრუნდეთ, მით უმეტეს, რომ სალაპარაკო მართლაც გვაქვს. ნადალმა ტორონტოში გაჩემპიონებით ზედიზედ მეხუთე ტურნირი მოიგო — რაც რომის მასტერსის მეორე წრეში წააგო ხუან-კარლოს ფერეროსთან, იქიდან მოყოლებული ჯერ ჰამბურგში იხეირა, რასაც მისი მეოთხე „როლან გაროსი“ მოჰყვა. ამის შემდეგ იყო ესპანელის პირველი საბალახო ტიტული ქუინსში და ალბათ კარიერის უდიდესი მიღწევა — უიმბლდონი. აგერ ახლა კი ტორონტო და უკვე 30-ე კარიერული ტიტული, რამაც რაფა ასაკით მესამე ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელად (22 წელი, ერთი თვე და 24 დღე) აქცია, ვინც ამდენი ტურნირის მოგება შეძლო. მას მხოლოდ ბიორნ ბორგი (21 წელი, 7 თვე, 9 დღე) და ჯიმი კონორსი (22 წელი, 20 დღე) უსწრებენ.

მასტერსშა გვარიანად დაჩრდილა წინა კვირის ქალთა ტურნირები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლოს ანჯელესში ელენა იანკოვიჩმა წააგო და რეიტინგში გაპირველების ურეალურესი შანსი ხელიდან გაუშვა. თუმც ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ტურნირებზე მომხდარს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ.

იმავე ლოს ანჯელესით დავიწყოთ, სადაც სწორედ იანკოვიჩის გამამწყარებელმა დინარა საფინამ იჩემპიონა. რუსმა ფინალში ნაკუწებად აქნა ფლავია პენეტა — 6:4 6:2 — და წლეულს თავისი მეორე ტიტული გაინაღდა. სლავი წლეულს მართლაც დიდებულად ირჯება. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ბოლო ექვსი ტურნირიდან დინარამ ხუთის ფინალში ითამაშა და მხოლოდ უიმბლდონი ჩაგდო (მესამე წრეში წააგო). ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ საფინამ ეს ყველაფერი სამ სხვადასხვა საფარზე შეძლო, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს.

სლოვენიური პორტოროზის მთავარი პრიზი კი იტალიელ სარა ერანის დარჩა. 21 წლის აპენინელმა ფინალში გამოცდილი ესპანელი ანაბელ მედინა-გარიგესი დაჩაგრა, 6:3 6:3. ჩვენში დარჩეს და ამ გოგომ ბოლო დროს აშკარად მოუმატა, უკვე 10 მატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო და ორი კვირის წინ მოგებულ პალერმოს ტიტულს ახლა სლოვენიურიც მიუმატა.

ბაბა ლომაჯვილი

რაფაელ ნადალი


დინარა საფინა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი



რონ დენისმა (მარჯვნივ), ჩემი პილოტები თანაბარუფლებიანები არიანო

ᲰᲔᲘᲙᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

ᲠᲝᲜ ᲓᲔᲜᲘᲡᲘ: ᲙᲝᲕᲐᲚᲐᲘᲜᲔᲜᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲠᲑᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ᲓᲐᲛᲓᲔᲒ უქმეებზე უნგრეთში, „ჰუნგარორინგის“ ავტოდრომზე წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში მიჯრით მოპოვებული ორი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, გერენალური კლასიფიკაციის სათავეში „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი პილოტი ლუის ჰემილტონია, ვისაც კვალში „ფერარის“ მრბოლები, ბრაზილიელი ფელიპე მასა და ფინელი მსოფლიოს ჩემპიონი კიმი რაიკონენი უდგანან.

„სამეფო რბოლების“ ძველი ჩემპიონი, ლეგენდარული შოტლანდიელი ჯეკი სტიუარტი მიიჩნევს, რომ ლუისს ერთბაშად ორ მეტოქესთან ბრძოლა საკმაოდ გაუჭირდება და ის აუცილებლად საჭიროებს თავისი ფინელი თანაგუნდელის, ჰეიკი კოვალაინენის დახმარებას.

„ლუისი თანაგუნდელის მხარდაჭერას უნდა გრძნობდეს. კოვალაინენმა უნდა მოახერხროს და ჰემილტონსა და „ფერარის“ პილოტებს შორის ჩადგეს“ — ბრძანა სტიუარტმა, ვისაც უმალ გამოეხმაურა „მაკების“ შეფი რონ დენისი.

„სერ ჯეკი პირველი ფორმულის ერთ-ერთი უდიდესი ჩემპოინი იყო და მე მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. ამავდროულად, ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ყველა კონსტრუქციული კრიტიკა თუ შექება, მათ შორის ჯეკ სტიუარატისგანაც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მან ფორმულა 1 1973 წელს დატოვა, მას შემდეგ 35 წელი გავიდა და „სამეფო რბოლების“ სამყარო ძალიან შეიცვალა — განაცხადა დენისმა და დაამატა — სტიუარატი ამტკიცებს, რომ ჰემილტონის საჩემპიონო და სატიტულო შანსები კოვალაინენის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰეიკის მისია ლუისის გვერდით დგომაა და მეტი არაფერი. არადა, ასე არ არის — ჰემილტონს არ სჭირდება არანაირი დამატებითი დახმარება, მით უმეტეს, რომ კოვალაინენი გუნდის სრულუფლებიანი წევრია და „მაკლარენი“ არ დაუშვებს თავისი პილოტების ხარისხობრივ დანაწილებას. ამ მხრივ, ჩვენ გრძელი ისტორია გვაქვს. „მაკლარენში“ ორივე პილოტი ყოველთვის ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა და არ ვაპირებთ ამ მიდგომის შეცვლას“.

აღნიშნულ საკითხს ირიბად „მაკლარენის“ აღმასრულებელი დირექტორი მარტინ უიტმარშიც გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ კოვალაინენს გუნდის ინჟინრების მხრიდან დამატებითი დახმარება სჭირდება, რათა ფინელმა მრბოლმა სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი.

„დავიწყოთ იმით, რომ ჰეიკი ბრწყინვალე მრბოლია. ვისაც ეს არ სჯერა, გერმანიის დიდი პრიზის ჩანაწერს უყუროს და ნახოს, როგორ გაასწრო მან „ჰოკენჰაიმრინგზე“ რობერტ კუბიცას. ფაქტია, ჰეიკი საკმარისად სწრაფია საიმისოდ, რომ მუდმივად პელოტონის თავში იყოს. უბრალოდ, ფორმულა 1-ში სასწაულები არ ხდება და გუნდმა კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა კოვალაინენის პოტენციალი სრულად იქნეს გამოყენებული — ბრძანა უიტმარშმა — „ჰოკენჰაიმრინგზე“ ჰეიკიმ მაქსიმუმი გამოწურა მანქანას და მისი ბრალი ნამდვილად არ იყო, რომ ეს მაქსიმუმი პოდიუმს არ ეყო“.

ᲫᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲒᲐᲫᲔ

ᲝᲠᲘᲜᲢᲘᲡᲢᲘ ᲠᲐᲘᲙᲝᲜᲔᲜᲘ



ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ჩემპიონი, „ფერარის“ ფინელი პილოტი კიმი რაიკონენი, მიუხედავად ბოლოდროინდელი წარუმატებლობისა, მაინც ოპტიმისტიურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ტიტულის შენარჩუნება შეუძლია.

არადა, ბოლო ორ ეტაპზე, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის დიდი პრიზების გათამაშებისას შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „ფერარი“ ვეღარ უწევს კონკურენციას „მაკლარენ-მერსედესს“ და ბრიტანული საჯინიბოს ბოლიდები იტალიურისაზე უფრო სწრაფები არიან.

რაიკონენი ასე არ ფიქრობს. „კი, ბატონო, გენერალური კლასიფიკაციის თავში არა „ფერარის“, არამედ “მაკლარენის“ მრბოლია, მაგრამ ასეთი სურათი, სულ რაღაც ერთი ეტაპია, რაც მივიღეთ. პატარა იღბალი გვინდა და ჩვენ ისეთივე კონკურენტუნარიანები ვიქნებით, როგორებიც სეზონის დასაწყისში ვიყავით. წინ ჯერ კიდევ ბევრი რბოლაა და ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს. წყალი არ გაუვა, ბრიტანეთისა და გერმანიაში „მაკლარენი“ ძალიან ძლიერი იყო. ამიტომაც მუხლჩაუხრელად უნდა ვიმუშაოთ, რათა მეტოქეს უფრო წინ წასვლის საშუალება არ მივცეთ. ჩვენ ეს შეგვიძლია — განაცხადა რაიკონენმა და იქვე მომავალი, უნგრული ეტაპის შესახებაც თქვა რამდენიმე სიტყვა — შარშან „ჰუნგარორინგზე“ „მაკლარენი“ ძალიან სწრაფი იყო. მაგრამ ასე იყო მონაკოშიც და წლეულს კი იქ (მონაკოში) ჩვენც ძლიერები ვიყავით. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ მონაკოსა და უნგრეთის დარ ნელ ტრეკებზე შანსი ჩვენც გვექნება. უბრალოდ, პატარა იღბალია საჭირო“.

ᲫᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲒᲐᲫᲔ

ᲝᲚᲢᲘ 100 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ

ᲑᲝᲚᲝ ᲮᲐᲜᲘ განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზულად ჩააფიქრა უსაინ ბოლტის ბანაკი — ღირს კი პეკინში ორივე სპრინტერული დისტანციის გამოდევნება? 21 წლის იამაიკელი ჰეპარდი აშკარად საუკეთესოა 200 მეტრზე და მან ეს სულ ახლახან ლონდონის სუპერ გრან პრიზეც დაამტკიცა, მაგრამ მსოფლიო რეკორდის (9,2წამი) მიუხედავად, ის ნამდვილად არაა გაუსაჩივრებლად პირველი მორბენალი 100 მეტრზე, სტოკლჰოლმში თანამემამულე ექსრეკორდსმენმა ასაფა პაუელმაც გაასწრო, თანაც ამ დისტანციაზე პეკინში მას ამერიკელი ტაისონ გაიც გაუწევს კონკურენციას. ასე რომ, არაა გამორიცხული, პაუელმა და ბოლტმა 100 და 200 მეტრი გაიყონ და პეკინში ერთმანეთს არც კი შეეჯიბრონ.

„ძალიან მინდა ოლიმპიური დუბლის შესრულება, მზად ვარ ამისთვის და ყველა მაქეზებს, ორივე დისტანცია ირბინეო, მაგრამ ვცდილობ, ემოციებს არ ავყვე და ცივი გონებით ვიმოქმედო — ამბობს ბოლტი — ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლო სიტყვა ჩემს მწვრთნელ გლენ მაილზისაა, ის გადაწყვეტს, რომელს ვირბენ და რომელს არა“.

„ოლიმპიადაზე რომ გაიმარჯვო, დიდი ხანი ერთს კონკრეტულ დისტანციაში უნდა ივარჯიშო. მსოფლიო რეკორდის მიუხედავად, უსაინს 100 მეტრზე სირბილის მცირე გამოცდილება აქვს — ამბობს ბოლტის პირადი მწვრთნელი და მისი ბანაკის ხელმძღვანელი გლენ მაილზი — სამაგიეროდ, 200 მეტრზე მას პრაქტიკულად ტოლი არ ჰყავს. არ ვარ დარწმუნებული, რომ გარისკვად ღირს. ორივეზე თუ ირბენს, ბოლტი აქაც და იქაცსამეულში ულაპარაკოდ შევა და მოიპოვებს მედლებს, მაგრამ სადაა იმის გარანტია, რომ ამ ორი მედლიდან ერთი მაინც იქნება ოქროსი?“

მოკლედ, დიდი შანსია, 100 მეტრის მსოფლიოს რეკორდსმენი ოლიმპიადაზე ამ დისტანციაზე არც გამოჩნდეს. იქნებ იამაიკის მძლეოსნობის შეფებმა გადაათქმევინეს ორი კურდღლის დევნა? ასე ხომ ამ ქვეყანას მეტი ოქროს მოპოვების შანსი ექნება, ბოლტი 100 მეტრზე არ დაიღლება, პაუელი კი ძველ მტერ ტაისონ გაისთან შეჯიბრში გაარკვევს 100 მეტრზე ოქროს მფლობელის ვინაობას. ყოველ შემთხვევაში, ლონდონის გრან პრიზე ამ სტრატეგიამ გაამართლა, სადაც იამაიკელებმა ქალებშიც და კაცებშიც ოთხ სპრინტში ოთხი გამარჯვება მოიპოვეს.

ᲕᲐᲜᲝ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ფრანცისკო ფერნანდესი

ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ ᲛᲝᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲚᲛᲐ ფრანცისკო ფერნანდესმა 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მსოფლიო რეკორდი განაახლა. ესპანეთის შიდა ჩემპიონატში, რომელიც ამავდროულად ოლიმპიური გუნდის საბოლოოდ ჩამოყალიბებასაც ისახავს მიზნად, ფერნანდესმა 10 კილომეტრი 37 წუთსა და 53,09 წამში გაიარა, რითაც 5 წამით გააუმჯობესა ოთხი წლის წინ ათენის ოლიმპიადაზე იტალიელი მოსიარულის ივანო ბრუნგეტის ძველი რეკორდი.

ანტონიო მარგარიტომ მიგელ კოტოს საკმაოდ ურტყა

მე ვარ ბიჭი მარგარიტო!

კვირას გამთენიისას ლას ვეგასის ლეგენდარულ „MGM გრანდში“ მორიგი სუპერ ბატალია გაიმართა პროფესიული კრივის ალბათ ყველაზე სანახაობრივ, ნახევრადსაშუალო წონაში — აქ ხომ თანამედროვების უძლიერეს მოკრივეებს აქვთ თავი მოყრილი და წელიწადი არ გავა, რამდენიმე ულამაზესი სანახაობით არ გაახარონ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები.

ამჯერადაც ასე იყო, როცა ერთმანეთს აქამდე დაუმარცხებელი და ფლოიდ მეიველერ-უმცროსის სპორტიდან წასვლის შემდეგ ლამის მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედ მიჩნეული პუერტო რიკოელი მიგელ კოტო მექსიკელ ანტონიო მარგარიტოს დაეტაკა. მებრძოლებმა ულამაზესი სანახაობა დადგეს, რომელიც მარგარიტოს უბრწყინვალესი გამარჯვებით დასრულდა.

თუმც კოტო თავის თავს ვერაფერში გაამტყუნებს. პუერტო რიკოელმა რამდენიც არ უნდა უყუროს ამ ბრძოლის ჩანაწერს, საკუთარ ტაქტიკაში ვერანაირ ხარვეზს ვერ აღმოაჩენს — ის მშვენივრად მოძრაობდა რინგზე, კარგად იცავდა თავს და უფრო უკეთესად გამოიყურებოდა კონტრშეტევაზე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც არ ეყო მექსიკელის დასამარცხებლად. მარგარიტომ გაუძლო მეტოქის ყველანაირ შეტევას და თავისი მაინც გაიტანა. „ტიხუანელ ტორნადოდ“ შერაცხული მარგარიტო გუშინ ტერმინატორს უფრო ჰგავდა — არას დაგიდევდათ მეტოქის მუშტებს, თავის მიზნისკენ ჯიუტად მიიწევდა და საბოლოოდ უწია კიდეც საწადელს.

საქმე იმაშია, რომ მარგარიტო უაღრესად დაგეშილი გამოვიდა რინგზე — მექსიკელი გაბრაზებული იყო ყველაზე და ყველაფერზე, რადგანაც აგერ უკვე რამდენი წელია ელიტას უტრიალებს და ხანაკუთარი სიბრიყვის, ხანაც უიღბლობის გამო ვერ ახერხებდა მწვერვალზე ასვლას. თუმც გუშინ მარგარიტოს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მას ვერაფერი შეაჩერებდა და ამიტომაც კოტოს ყველაზე ძლიერი დარტყმულის შემდეგაც კი მხოლოდ წარბს თუ შეიხრიდა ხოლმე, რამდენიმე წამში კი ისევ შეტევაზე გადადიოდა.

ისე, თავიდან ბრძოლა კოტოს უპირატესობით დაიწყო — მართალია, მარგარიტომ ტრადიციულად აქტიურ და შემტევ სტილს მიმართა, მაგრამ პუერტო რიკოელი ახერხებდა მეტოქის ზეწოლის გამკლავებას. მეტიც, ჩემპიონი საკმაოდ იოლად იგერიებდა „ტიხუანელი ტორნადოს“ შეტევებს და ძლიერადაც პასუხობდა. თუმც კოტომ მალევე აღმოაჩინა, რომ მეტოქეს სერიოზულ ზიანს ვერ აყენებდა — მათ შორის ვერც თავისი უღალატო და უძლიერესი მარჯვენითაც, რომელმაც მას აქამდე 32 ბრძოლა მოაგებინა. მარგარიტოს თითქოს ქვის ყბა ჰქონოდეს, უდრტვინელად იტანდა ჩემპიონს ყველა დარტყმულს და მაინც უშიშრად მიიწევდა მისკენ.

„თავინადვე მქონდა დაგეგმილი მისი დაღლა — მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლო უპირატესოუის მოპოვება. ვფიქრობ, ჩანაფიქრმა გაამართლა“ — იტყვის ბრძოლის შემდეგ მარგარიტო.

მართლაც, სადღაც მეექვსე რაუნდისთვის რიგნზე ვითარება შეიცვალა. კოტო სულ უფრო იშვიათად ახერხებდა კონტრშეტევაზე გადასვლას, რის გამოც ძირითადად თავის დაცვა უწევდა. პირველი სერიოზული პრობლემები კი ჩემპიონს მეშვიდე სამწუთეულში შეექმნა, როცა მარგარიტომ შეძლო მისი კუთხეში მიმწყვდევა და რამდენიმე ძალიან სერიოზული დარტყმის გატარება. თუმც პუერტო რიკოელმა ამჯერად შეძლო გაძლება.

მომდევნო რაუნდებმა ისევ კატა-თაგვობანაში ჩაიარა — მარგარიტო წინ მიიწევდა, კოტო კი იშვიათად, მაგრამ ზუსტად პასუხობდა. თუმც ჩემპიონისთვის ზარმა მე-11 სამწუთეულში ჩამოკრა, როცა მარგარიტომ მორიგი უმძიმესი დარტყმების კომბინაციით მუხლებზე დააგდო მეტოქე. პუერტო რიკოელი კი წამოდგა, მაგრამ მექსიკელი სულაც არ გეგმავდა თავისი შანსის ხელიდან გაშვებას და სანამ კოტო გონზე მოსვლას მოასწრებდა, ისევ შეტევაზე გადავიდა. ჰოდა, როცა ათიოდ წამში ჩემპიონმა კიდევ ერთხელ ჩაიმუხლა, მისი სამწვრთნელო შტაბის წევრებმა რინგზე თეთრი პირსახოცი გადმოაგდეს, რაც ბრძოლის შეწყვეტის ნიშანი გახლდათ.

„ხომ გეუბნებოდით და გიმტკიცებდით, დიდი მოკრივე ვარ მეთქი. ისევე როგორც კოტო, რომელმაც დღეს ძალიან ბევრს გაუძლო. მეექვსე რაუნდში ძალიან მწარედ მოხვდა და მეგონა გატყდებოდა, მაგრამ კარგა ხანს არაფერს იმჩნევდა, რაც მის სიძლიერეზე ნათლად მიუთითებს“ — საკუთარი თავის გარდა არც მეტოქის შექება დავიწყია ახლადგამომცხვარ ჩემპიონს.

ცნობისთვის, მარგარიტოსთვის ეს მესამე ტიტული გახლავთ. თავისი პირველი, WBO-ს ქამარი მან შარშან პოლ უილიამსს დაუთმო, როცა უჩვეულოდ პასიური გახლდათ. სამიოდ თვის წინ მან IBF-ს ტიტული დაისაკუთრა, როცა უსასტიკესად გალახა კერნიტ ცინტრონი, მაგრამ შემდეგ ამ ტიტულზე უარი თქვა, რათა კოტოსთან დაჯახების საშუალება მისცემოდა. და აგერ ახლა მარგარიტომ WBA-ს ქამარი დაითრია, რომელიც მან ნამდვილად დაიმსახურა.

კახა ლომაჯვილი

ახალი ამერიკელები

ბრაზილიის უძლეველობა ბრაზილიაში დასრულდება

კვირას ბრაზილიაში გასრულდა მორიგი მსოფლიო ლიგა კაც ფრენბურთელთა ნაკრებებს შორის. ისევე როგორც ქალთა გრან პრი, ეს ტურნირიც ბევრის მიერ კარს მომდგარი ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ბოლო ეტაპად განიხილებოდა, რომელსაც ოთხწლეულის უდიდესი მოვლენის წინ ძალთა რეალური განლაგება უნდა გამოეჩინა.

ყველასდა გასაკვირად, მასპინძლებმა ვერ შეძლეს გამარჯვება და ქალი თანამემამულეების შედეგი ვერ გაიმეორეს. არადა, ბრაზილიელები უეჭველი ფავორიტების რანგში ხვდებოდნენ ტურნირს — სხვა თუ არაფერი, რაც 2002 წელს მსოფლიო ლიგა რუსებს დაუთმეს, მას შემდეგ სამხრეთამერიკელებს ერთი ტურნირიც კი არ წაეგოთ. ამ ექვს წელიწადში ბრაზილიელებმა მსოფლიო ლიგა 5-ჯერ მოიგეს, მსოფლიო ჩემპიონატებზე ორჯერ იპირველეს და არც ათენური ოლიმპიადის ოქრო დაუთმეს ვინმეს.

მაგრამ მათ წარმატებულ სვლას მაინც ბოლო მოეღო და, რაც ყველაზე საოცარია, ეს ამერიკელებმა ითავეს. არადა, აშშ-ს რა ხანია, ხეირიანი ნაკრები არ ჰყოლია — რაც 1984 და 1988 წლების ოლიმპიადებზე იჩემპიონეს, იანკებს ძლიერი ნაკრები არ ღირსებიათ. იქიდან მოყოლებული რამდენიმე წელი ინერციით კიდევ ახერხებდნენ ელიტაში დარჩენას, გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულიდან კი სულაც მაჩანჩალებში გადაინაცვლეს. მაგრამ ამერიკელებმა, როგორც ხედავთ, ისევ შეძლეს სპორტის ამ სახეობის ამოქაჩვა — ამისთვის იანკებმა ჩვეული და სხვა სპორტების წარმომადგენელთა მიერ უკვე განვლილი გზა არჩიეს და კოლეჯებში ფრენბურთის ჰოპულარიზაცია დაიწყეს.

შედეგი სახეზეა — ამერიკელებს უკვე წამოეზარდათ საკმაოდ ნიჭიერი თაობა, რომელსაც შეუძლია, უახლოეს წლებში თანაბარ დონეზე ეჭიდაოს კაცთა ფრენბურთის ისეთ მონსტრებს, როგორებიც ბრაზილია, იტალია და რუსეთი არიან.

მასპინძლებს იანკები ნახევარფინალში გადააწყდნენ. ბრაზილიელებს ვერც პირთამდე გადავსებული დარბაზის გიჟურმა მხარდაჭერამ უშველა და ვერც მათი ლიდერისა და მსოფლიოს საუკეთესო ფრენბურთელ ჟიბას თავგამოდებამ. ამერიკელებმა გუნდური თამაშისა და გაუვალი ბლოკის ხარჯზე შეძლეს ნაქები ბრაზილიური შეტევის გაუნებლობა და მასპინძლებისგანაც აღარაფერი დარჩა. შეიძლება ითქვას, რომ იანკებმა მაგრად შეარცხვინეს ჩემპიონები, რადგანაც სეტიც არ აღებინეს და 3:0 მიართვეს. სწორედ აქ გაიგიჟა თავი იანკთა დიაგონალურმა მოთამაშე ლოი ბოლმა, რომელიც შემდეგ ტურნირის უძვირფასეს ფრენბურთელადაც დაასახელეს.

ფინალში კი ამერიკელებს სერბები დაეჯახნენ. ისე, ბალკანელთა პროგრესიც უნდა აღვნიშნოთ — სიდნეის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ბოლო წლებში აშკარად დათმეს პოზიციები, თუმც ახალმა მწვრთნელმა ახალგაზრდა თაობა ძველი გვარდიის ორი წარმომადგენლის — ივან მილკოვიჩისა და ნიკოლა გრბიჩის — გარშემო შეკრა და სერბებმაც დაგვანახვეს, რომ ისევ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და პეკინშიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ. თუნდაც ის რად ღირს, რომ სერბებმა ნახევარფინალში რუსეთის ძალიან ძლიერი ნაკრები გააკრეს ბიჭებზე.

ფინალი კი საინტერესოდ წარიმართა და ყველა სეტში თამაში ქულა ქულაში მიდიოდა. თუმც ბოლს მხარში ამოუდგა კიდევ ერთი შემტევი უილიამ პრაიდი, იანკებმაც გადამწყვეტ მომენტებში უფრო იყოჩაღეს — 26:24 23:25 25:23 25:22 და თავიანთ ისტორიაში პირველი მსოფლიო ლიგა მოიგეს.

ბრაზილიელებმა კი ვერც ბრინჯაო დაისაკუთრეს — ეტყობა, დამამშვიდებელ ფინალს გული ვეღარ დაუდეს, რუსებთან ძალიან უკბილოდ ითამაშეს და მათთვის უკვე სამარცხვინოდ მიჩნეულ მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

კახა ლომაჯვილი



ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ლოი ბოლი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ჭინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00